ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

22 — 23 ივნისი, 2013 | №146 (6147) | ფასი: 30 თეთრი

22 ივნისიდან!

„ახალი თაობა“ + სოჯახო სამზარეულო

2 ლარი და 30 თეთრი

ტომი 8



გაუპატიურების საქმეზე დაკავებულებს პატიმრობა შეეფარდათ

გვ.6

რამაზ საყვარელიძე; „გაუპატიურებულ ადამიანს აიძულებდნენ, არმომხდარი ტერაქტი დაებრალებინა“

გვ.4

რატომ ჩამოვიდა თბილისში თემურ ალასანია?



შალვა ხაჭაპურიძე: „ნაციონალები სახელმწიფო გადატრიალებას ამზადებენ“

გვ.2

გვ.3

დავით საგანელიძე: „ამ საშინელებაზე პასუხი სააკაშვილმა უნდა აგოს!“

ნინო ბურჯანაძე: „დარწმუნებული ვარ, დანაშაულის კვალი სწორედ მიხეილ სააკაშვილამდე მივა“

გვ.6

როდის მიიღებს კონსტანტინე გამსახურდია ძეგლი დასრულებულ სახეს?

გვ.6

გვ.5

გელა ნიკოლაიშვილი: „ახალმა ხელისუფლებამ ზედმეტად იკეკლუცა“

პოლიციამ 8 წლის გოგონაზე სექსუალურ ძალადობაში ბრალდებული 62 წლის მამაკაცი დააკავა

თელავის ერთ-ერთ სოფელში 8 წლის გოგონაზე სექსუალურ ძალადობაში ბრალდებული 62 წლის მამაკაცი დააკავეს. ამის შესახებ ინფორმაციას გურჯაანის ტელევიზია ავრცელებს.

გამოძიების ინფორმაციით, მამაკაცი გარყვნილ ქმედებას 8 წლის გოგონასთან მიმართებით ჩადიოდა. ბავშვი ჩვენებაში ამბობს, რომ მამაკაცი ოჯახის ახლობელია. ის სახლში მამაკაცს გარემონტებული ბინის დასათვალიერებლად გაჰყვა. 62 წლის მოხუცმა კი გოგონას გახადა, ოთახში ჩაკეტა და მასზე ძალადობა ცადა. შემთხვევა გასულ წელს მოხდა, თუმცა გოგონამ ჩვენება ახლა მისცა.

დანაშაულში ეჭვმიტანილი დაკავებულია. თელავის პოლიციასთან გოგონას ახლობლები არიან შეკრებილი და მამაკაცის ლინჩის წესით გასამართლებას ითხოვენ.

ნიუსბრეი

ISSN 1987-9385

12 ივნისიდან!

„ახალი თაობა“ + დალაი ლამა

8 ლარი



შალვა ხაჭაპურიძე: „ნაციონალები სახელმწიფო გადატრიალებას ამზადებენ“

რატომ ჩამოვიდა თბილისში თემურ ალასანია?

ნონა ცაბაძე

ინტერვიუ ადვოკატ შალვა ხაჭაპურიძესთან

—ბატონო შალვა, სამალავში აღმოჩენილი კადრებით გამოწვეული აჟიოტაჟი სა ზოგადოებაში ჯერ კიდევ არ ჩამცხრალა. შოკირებულია ყველა, ვინც კი ეს კადრები ნახა. როგორია თქვენი, როგორც იურისტის, როგორც ადვოკატის შეფასებები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით?

— მე ეს კადრები არ მინახავს, მაგრამ კარგად ვიცი თუ რაზეა საუბარი. იყო ეგეთი კანონიერი ქურდი გია ზვიადაძე, რომელსაც ჩამოართვეს სახლი პოლიციის თანამშრომლებმა. ვანო მერაბიშვილიც ესწრებოდა ამ სახლის გადაცემას. ქუთაისში ხდებოდა ეს და სწორედ ამ სახლში, საბილიარდო ოთახშია ეს წამების კადრები გადაღებული და მართლაც, რომ საშინელი კადრებია. თუმცა ყურადღება მარტო ამ კადრებზე არ უნდა გამახვილდეს. დღეს საელჩოებიც მხოლოდ ამ კადრებზე აკეთებენ აქცენტს. ჩვენ აქ სულ სხვა მოვლენასთანა გვაქვს საქმე, როცა ვეხებით იარაღის აღმოჩენის ნაწილს. ვინაიდან ეს იარაღი წარმოადგენს რეალურ საფრთხეს სახელმწიფოსათვის და უმძიმეს ბრალდებას ყოფილი ხელისუფლების წინააღმდეგ. ფაქტიურად ჩვენ სახელმწიფო გადატრიალების მცდელობასთან გვაქვს საქმე. ჩვენ არაერთხელ განგვიცხადებია, მათ შორის თქვენთან ინტერვიუს დროს, რომ წინა ხელისუფლება ამისთვის ემზადებოდა. გახსოვთ თქვენ, რომ ალასანიამ თავის დროზე გააკეთა ამასთან დაკავშირებით განცხადება. ალასანიაზე ადრე მე გავაკეთე ეს განცხადება, რომ სამეგრელოში ამდენი იარაღი შეჰქონდათ, რომ ხალხის გადამზადება მიდიოდა და ასე შემდეგ.

— რისთვის ამზადებდნენ ამ ხალხს?

— თუ არჩევნები წავიდოდა წაგებისკენ, დაწყებულიყო გადატრიალება. სხვათა შორის, თქვენს გაზეთში ვსაუბრობდი ამის შესახებ, რომ სამეგრელოში უნდა დაწყებულიყო დიდი შეხლა–შემოხლა იარაღებით და ასე შემდეგ. ამას უნდა მოჰყოლოდა რიკოთის გადაკეტვა. რიკოთის გადაკეტვას მოყვებოდა ორხელისუფლებიანობა. პარლამენტი იარსებებდა ქუთაისში, რომელსაც ნაციონალები უხელმძღვანელებდნენ, ბათუმში იწყობდა სააკაშვილი რეზიდენციას და დაირქმევდა დევნილი პრეზიდენტის სტატუსს. აღმოსავლეთ საქართველო დარჩებოდა ბიძინა ივანიშვილს. ეს სქემები იდო და მე ვწერდი ამის შესახებ. ვიღაცა იჯერებდა ამას, ვიღაცა არ იჯერებდა. აი, ბატონო, აგერ არის ნათელი მაგალითი. მეტსაც გეტყვით, უფრო ბევრი იარაღი არის დამარხული. მოძებნონ ის ადამიანები, ვინც წლების განმავლობაში, გამსახურდიას დროიდან ტყეებში იყვნენ გახიზნულები და არის სამეგრელოს ტერიტორიაზე რამდენიმე გამოქვაბული, სადაც გაცილებით მეტი იარაღი ინახება. ესენი ემზადებოდნენ რევანშისთვის და უნდოდათ გაეკეთებინათ ის, რაც გაუკეთეს თავის დროზე ზვიად გამსახურდიას. ამისთვის მიდიოდა აბსოლუტურად სერიოზული მზადება. ამ გეგმის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი გახლდათ 17 მაისი, რომლის ორგანიზება გააკეთა გიგა ბოკერიამ, ვანო მერაბიშვილმა და იმ შავბნელმა დაჯგუფებამ, რომელიც 9 წელიწადია საქართველოს ამ უბედურებაში ამყოფებს. ესენი არსად წასვლას არ აპირებდნენ. ნებისმიერი ნაციონალი, სხვათა შორის, ბევრი მათგანი ისევ თანამდებობაზეა და, როგორც თანდათან ირკვევა, ასეთი შინაგან სამინისტროშიც ბევრია და თავდაცვაშიც, ანუ მათ იარაღთან აქვთ შეხება. ესენი პირად კონტაქტებში პირდაპირ აცხადებდნენ, რომ არსად წასვლას არ ვაპირებთ, ძალიან მალე დავბრუნდებითო. გაიხსენეთ იგივე ვანო მერაბიშვილის განცხადება, როდესაც ევროკავშირის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ ერთ წელიწადში გარეთ ვიქნებიო. ანუ ეს გეგმა მუშავდებოდა და მუშავდება ახლაც. ეს იარაღი, რაც აღმოაჩინეს, არის ზღვაში წვეთი იმასთან შედარებით, რაც კიდევ აქვთ გადამალული. ყველა ნაციონალ მაჟორიტარს ედო გეგმა თუ რა უნდა მომხდარიყო და როგორ. სიები ჰქონდათ გამზადებული დასაჭერი ხალხის, პირველ რიგში ვინ უნდა დაეჭირათ. ყველა რიგიონში ჰყავთ ზონდერები, იარაღიანი ხალხი, რომლებიც დღესაც მშვენივრად გრძნობენ თავს, მინდა გითხრათ. ზოგი ვითომ ახალ ხელისუფლებაშიც გადმობარგდა, თუმცა შეხედულებები არ შეუცვლიათ და სიტუაციის შეცვლას ელიან, ისინი ძველი ხელისუფლების პირობებში უკეთესად გრძნობდნენ თავს. ჩემთვის, მაგალითად, ახალი და გასაოცარი არაფერი მომხდარა. ამერიკის ელჩი თუ დარჩა გაკვირვებული ამ ყველაფრიდან, სიმართლე გითხრათ, მე თვითონ ვარ გაკვირვებული, ამერიკის ელჩი რამ გააკვირვა. თუ მას ეს ინფორმაცია არ გააჩნდა, გამოდის, რომ შესაბამისი სამსახურები ვერ აწვდიან სათანადო ინფორმაციას. საელჩოებისთვის ეს გასაკვირი არ უნდა ყოფილიყო. შემიძლია ყველა ის გაზეთი ამოვწიო, სადაც მე ამის შესახებ ვსაუბრობდი.

— ვინ გაწვდიდათ თქვენ ამ ინფორმაციებს?

— ერთხელ მაინც დაეძახებინა ვინმეს და ეკითხა, ხაჭაპურიძე, საიდან გაქვს შენ ეს ინფორმაციები? სიზმარს ხომ არ ვნახულობდი. ეს ინფორმაციები ტრიალებდა, მოდიოდა. სენაკში არის მსგავსი, რამდენიმე ბაზასავით აქვთ შექმნილი, ასევე მარტვილისკენ, ზუგდიდისკენ, დღესაც თუ არის ვერ გეტყვით, მაგრამ არჩევნების პერიოდში ეს ბაზები იყო. ეს კონფიდენციალური შეკრებები არჩევნების მერეც ტარდებოდა, მაგრამ საკმაოდ გასაიდუმლოებული იყო. სიმართლე რომ გითხრათ, მეც აღარ დავინტერესებულვარ, რადგან არჩევნების შემდეგ დიდად აღარ ვარ პოლიტიკურ პროცესებში ჩართული. საკმარისი იყო ალბათ გავაქტიურებულიყავი, რა თქმა უნდა, ეს ინფორმაციები მექნებოდა. თუმცა ფაქტია, რომ არსებობდა, დავწერე კიდეც, რომ ჭაკუა, ყოფილი რეზბალნიცის უფროსი და კიდევ რამდენიმე ციხის თანამშრომელი, რომელიც დაიჭირეს, არჩევნების მერე სამეგრელოს ტყეებში იმალებოდნენ. ისხდნენ შეიარაღებულები და ბრძანებას ელოდებოდნენ. ვთქვი კიდევაც, რომ არიან ამა და ამ ადგილას. თუმცა რაღაც სქემები ვერ აეწყო ხელისუფლებას, ვერ დაალაგეს და აი, ამ დრომდე გადმოიწია. ჯერ იყო და 17 მაისი, მერე ვანო მერაბიშვილის სასამართლო პროცესები და გაჯანჯღლდა ეს პროცესი. ნაციონალები რევანშისთვის ემზადებიან, ამათთან კოჰაბიტაცია? კი ბატონო, კოჰაბიტაცია გასაგებია, არ უნდა გავეკიდოთ და თავში ქვა არ უნდა ჩავარტყათ და თანაარსებობა უნდა მოხდეს. აგერ ორი მეზობელი მყავს, გამწარებული ნაციონალია, მაგრამ ერთმანეთს ქვას არ ვურტყავთ თავში, გამარჯობა-გაგიმარჯოს ვეუბნებით. თუმცა ეს ყველაფერი არ უნდა გადაიზარდოს მარაზმში, ვეღარ გაიგო ხალხმა, ვინ ნაციონალია, ვინ ბიძინას მომხრე და რა ხდება ქვეყანაში, ვეღარ გაიგებ. ახალი ხელისუფლება კოჰაბიტაციას სთავაზობს, სამაგიეროდ, ისინი იქიდან გვთავაზობენ ავტომატს და ემზადებიან სახელმწიფო გადატრიალებისთვის. ღიად ვაცხადებ, რომ სახელმწიფო გადატრიალებას ამზადებს ნაციონალური მოძრაობა. გამოხტა გუშინ ბაქრაძე და ჩვენ ვემიჯნებით ამას, ჩვენ შორს ვდგავართ ამისგან და ასე შემდეგ. სცენარებს წერდნენ წინასწარ. თქვენ რა გგონიათ, თემურ ჟორჟოლიანს და იგორ გიორგაძის მომხრეებს რაც სცენარი ამოურს, მართლა მათი დაწერილია? ეს იყო ლაცაბიძის დაწერილი სცენარები გიგა ბოკერიასთან ერთად. ტყუილად რომ მოახდევინეს ამ ხალხს იმდენი წელი, ეს იყო ამათი დაწერილი სცენარები. მათი დევიზია, რომ თუ არ გამოდის ფერადი რევოლუცია, მაშინ ძალაუფლება უნდა აიღო ხელში იარაღით! ვინაიდან ხალხის მხარდაჭერის იმედი მათ არ გააჩნიათ, შესაბამისად რაზე გადადიან? გადადიან შეიარაღებულ სახელმწიფო გადატრიალებაზე. ესაა ყველაზე მნიშვნელოვანი, აი, სადაა საგანგაშო ზარები. კონფიდენციალურმა წყარომ მომაწოდა ინფორმაცია. სააკაშვილის ბიძა, თემურ ალასანია თბილისშია და ერთ-ერთ საიდუმლო შეხვედრაზე დაუკვეხნია – თუ რევოლუცია უნდათ, ძალიან მალე მიიღებენო. საერთოდ, სანამ ეს პოლიტიკური ძალა იბოგინებს ამ დედამიწის ზურგზე, დამნაშავე პოლიტიკური ძალა, მე პიროვნებებზე არ ვამბობ, კონკრეტული სუბიექტები არ მაინტერესებს, მე ვსაუბრობ დამნაშავე რეჟიმზე.

— გამოსავალს რაში ხედავთ?

— აუცილებელია ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები, რომ თავისი ადგილი მიეჩინოს ყველა იმ ადამიანს, ვინც ამ უბედურებაშია. იმიტომ, რომ ამ ჭირს სხვანაირად ვერ მოვიშორებთ.

— რაც შეეხება პასუხისმგებლობის საკითხს, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, მხედველობაში მაქვს ეს ფირები და ამოღებული იარაღი, ვისი პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს?

— არ მინდა, რომ უდანაშაულოდ ვინმეს ბრალი დასდებ, ეს ყველაფერი მალე დამთავრდება. საიდან დამთავრდებოდა ერთი გამაგებინეთ, ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები იგეგმებოდა? ხელისუფლამ დაკარგა ისე რეიტინგი, რომ ხალხი ქუჩებში გამოდის და მასობრივი აქციები ეწყობა თუ რა, საიდან უნდა დამთავრებულიყო უცებ ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლება?! აი, საიდან! რა მზადდებოდა. რატომ უნდა აიკრძალოს ნაციონალური მოძრაობაო, აი ამისთვის, რომ ასეთ უბედურებებს აკეთებენ. თქვენ თუ გგონიათ ამას სამშობლოს გულისთვის აკეთებენ, ესენი არიან სკამის პოლიტიკოსები და ამიტომ მოხდა ეს ყველაფერი. დააკვირდით სხვა მოვლენებსაც, ეს თქვენ არ გეგონოთ ერთი პატარა მონაკვეთი. დავაკვირდეთ რა ხდება უნივერსიტეტებთან დაკავშირებით, უზარმაზარი ფულია ჩადებული და დღესაც იდება, რომ რამენაირად სტუდენტები გამოიყვანონ. თურმე როგორ შეიძლება ექვსი თვით რექტორის მოვალეობის შემსრულებელი ბიძინა ივანიშვილმა დანიშნოს. ეს ის ხალხი არ არიან, ბოდიში და, უნივერსიტეტში პროფესორები რომ გამოკეტეს და ალყა რომ დაარტყეს პოლიციელებით და თავპირი დაუმტვრიეს პროფესორ-მასწავლებლებს დუბინკებით? ეს ის ხალხი არ არიან ტურავა, ჭანტურია და გვენეტაძე და ასეთი ხალხი უნივერსიტეტებიდან გამოყარეს?! ეს ხალხი დღეს გერმანიაში მოსამართლეებს უკითხავენ ლექციებს, გერმანელ მოსამართლეებს. ცხვირმოუხოცავი ბავშვები რომ შეყარეს ლექტორებად. თურმე ხარისხი თუ არა გაქვს, მაინც ლექტორი უნდა იყო. რატომ უნდა იყო ერთი ლექტორი? თუ ხარისხი არ გაგაჩნია და არა გაქვს სათანადო გამოცდილება, რატომ უნდა მიკითხავდე ლექციას ვიღაცა ვიგინდარა?! აი, ეს სიტუაცია რომ გამოსწორდეს, ამიტომაც აუცილებელია, რომ ექვსი თვის განმავლობაში პრემიერ-მინისტრმა უნდა დანიშნოს რექტორის მოვალეობის შემსრულებელი და შემდეგ, როცა დალაგდება იქ სიტუაციები, აგერაა ბატონო, და იყარონ კენჭი და ვინც უნდათ, ის აირჩიონ. რა, სააკაშვილის დედის დაქალები და ძმაკაცები სულ არჩეულები მყავდნენ? ჯერ დაკავდებ, ეს ყველაფერი მალე დამთავრდება. ჩატარდეს გამოძიება და, რა თქმა უნდა, გაირკვევა, ვიღაცამ ხომ ჩადო ეს იარაღი? ვიღაცის ბრძანებით ხომ ჩადო? ეს იარაღი შეძენილია სტრუქტურულად, აბსოლუტურად დაგეგმილად სახელმწიფო სტრუქტურების მიერ. გამოიძიონ და გავლენ რეალურ კვალზე, ვინ იყო ამის დამგეგმავი და რატომ იგეგმებოდა ეს ყველაფერი. რისი იმედი ჰქონდათ, აბსოლუტურად ურეიტინგო პარტია მთელი ეს თვეები რომ გამოდიოდა და გაიძახოდნენ, ჩვენ დავბრუნდებიო. ეს ყველაფერი მალე დამთავრდება და კი ბატონო, ჩატარდეს შემდეგ არჩევნები ნორმალურ და წესიერ გარემოში.

— ბოკერია მუშაობს იმაზე, რომ რაც შეიძლება მაქსიმალურად დაეცეს ოცნების რეიტინგიო...

— ბოკერია მუშაობს იმაზე, რომ საერთოდ დაემხოს ოცნება. აი, ამაზე მუშაობს და იცოდეთ, რომ ძალიან ბევრ ძალოვან სტრუქტურაში ჰყავთ შემორჩენილი თანამშრომლები, რომლებიც ერთ დაძახებაზე იარაღით გამოვარდებიან. ნაციონალები მიხვდნენ, რომ მათი რეიტინგი არის ნულს ქვემოთ. მათი დაბრუნება პოლიტიკურად ეს არის წარმოუდგენელი. ბიძინა ივანიშვილი, განსხვავებით მაგათგან, არც მალავს, ერთ მშვენიერ დღეს რომ დაალაგებს სიტუაციას, ადგება და წავა, მაგრამ ნაციონალები ამას არ აპირებენ. ისინი ფიქრობენ, რომ მთელი ცხოვრება უნდა იყვნენ. არ გამოვა ეს ქუჩის აქციები და ვერც გამოუვათ, იმიტომ, რომ ხალხი მხარს არ უჭერს, მაშინ უნდა გამოვიდეს ეს იარაღით. ბოკერია ამაზე ფიქრობს. ბოკერია გამოსაყვანია ახლა იმ კაბინეტიდან და მისაბრძანებელია იქ, სადაც ვანო მერაბიშვილი ზის. მე დარწმუნებული ვარ, რომ ნორმალური გამომძიებელი თუ მოკიდებს მაგ საქმეს ხელს, ბოკერიამდე მივა. სადაც ეს იარაღებია აღმოჩენილი, სადაც ეს 17 მაისი მოხდა, სადაც ამ განათლების კანონთან არის ერთი ამბავი, ყველგან არის ბოკერიას ხელი. დღეს, პირიქით, თავდასხმაზე გადმოდიან. სხვათა შორის, ამ ყველაფერში ძალიან ცუდ როლს თამაშობს ერთ-ერთი ვითომდა ოპოზიციური ტელეკომპანია. ამ ტელევიზიას რომ ჩართავ, საღამოს გადაცემებში სულ ნაციონალების პარადია. კარგით რა, ხალხო, გვეყო, დავიღალეთ! პროპაგანდა მიმდინარეობს, თვითონ თუ არ იციან ამა ტელევიზიის ხელმძღვანელებმა, გადაშალონ პროპაგანდისტული ლიტერატურები და ნახავენ. ყველას აქვს აზრის გამოთქმის თავისუფლება, მაგრამ ნუ აძლევენ ნაციონალებს პროპაგანდის გატარების საშუალებას. იმიტომ, რომ ეს ყველაფერი პირდაპირ ურტყამს სახელმწიფოებრიობას.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაგურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

დავით საგანელიძე: „ამ საშინელებაზე პასუხი სააკაშვილმა უნდა აგოს!“

პრეზიდენტი კიდევ ერთ ტყუილში გამოიჭირეს

შორენა მარსაგიშვილი

სამალავში ნაპოვნი ფირები საზოგადოების დიდ ნაწილს არ უნახავს, მაგრამ საზოგადოება მაინც შოკშია. კოჰაბიტაციაზე მოუბარი მეოცნებეები უკვე აღარ არიან ნაციონალების მიტევების გუნებაზე. ამ ფირების გამო ნაციონალებიც დადუმდნენ. ვანო მერაბიშვილი და მიხეილ სააკაშვილი ირწმუნებიან, რომ აზრზე არ იყვნენ, ასეთი საშინელებები რომ ხდებოდა.

საზოგადოება განსაკუთრებით მიხეილ სააკაშვილის განცხადებამ აღაშფოთა, რომელიც უნიჭოდ ცდილობდა დაზაფრული ადამიანის სახე მიეღო.

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი სამეგრელოში აღმოჩენილი ვიდეომასალის შექმნას ორ კონკრეტულ გვარს უკავშირებს. მისი განცხადებით, ამ დარღვევების ჩამდენებს აქვთ სახელები და გვარები.

– ამ კონკრეტულ სისტემას, ამ დარღვევების ჩამდენებს აქვთ სახელები და გვარები და ორი მთავარი ფიგურა კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ვინმე ჩხატარაშვილი და ლევან ქარდავა პირველი კუდის პრაქტიკულად შემქმნელები, რომელიც ჩვენს მთავრობას გადმოჰყვა შევარდნაძის მთავრობიდან, სამწუხაროდ, დავტოვეთ და ძველი ცოდვები ჩამოვაწერეთ. ორივე ძალიან აქტიურად თანამშრომლობს ახალ მთავრობასთან. ჩხატარაშვილი არის მარჯვენა ხელი ხუხაშვილის, მთავარი მრჩეველის და ერთ-ერთი მთავარი არქიტექტორი, ხოლო ლევან ქარდავა ყოველდღიურად ელაპარაკება პარლამენტში „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებს და აიძულებს გავიდნენ „ნაციონალური მოძრაობიდან“ და ძალიან აქტიურად თანამშრომლობს დღევანდელ მთავრობასთან. ეს ორი ადამიანი იყო ძალიან ბევრი დანაშაულის ჩამდენი. სიცოცხლის ბოლომდე ვინანებ, რომ ასეთი სუბიექტები გადმოვიყვანე წინა მთავრობიდან, – განაცხადა სააკაშვილმა.

პრეზიდენტის თქმით, კონკრეტული შემსრულებელი კონკრეტულად უნდა აგებდეს პასუხს და მოუწოდებს ახალ მთავრობას, ნუ იყენებენ ამ ადამიანებს ბინძური ქმედებების ჩასადენად.

– მე ასევე მინდა ვუთხრა საქართველოს დღევანდელ მთავრობას, რომ ამ ხალხს არც მილიონებს არ უნდა აძლევდნენ და არც უნდა იყენებდნენ ბინძური ქმედებების ჩადენაში, – დამოძღვრა ახალი მთავრობა პრეზიდენტმა.

სააკაშვილის გულისამაჩუყებელ განცხადებას ექსპერტი კახი კახიშვილი გამოეხმაურა. ის სააკაშვილს მოუწოდებს, პროკურატურას ჩვენება მისცეს და ისაუბროს იმის თაობაზე, თუ როგორ დააჯილდოვა გუშინ მის მიერ მიმართვაში ნახსენები ორივე პიროვნება – ჩხატარაშვილი და ქარდავა ღირსების ორდენებით.

– პრეზიდენტი იმიტომ არის პრეზიდენტი, რომ მხოლოდ კი არ ილაპარაკოს. თუ ის თვლის, რომ მოხდა საზარელი ფაქტები და მან ეს არ იცოდა, აგერ პროკურატურა, მივიდეს და ჩვენება მისცეს პროკურატურას ამ საქმესთან დაკავშირებით, მას იმუნიტეტი იცავს როგორც პრეზიდენტს და მას პროკურატურა ვერ დაიბარებს, მაგრამ, თუ პრეზიდენტს სურვილი აქვს, მას შეუძლია ჩვენების მიცემა. მოვიდეს და მისცეს ჩვენება, რა იყო, როგორ იყო, რომ არ იცნობს ჩხატარაშვილს, რომ არ იცნობს ქარდავას, როგორ დაჯილდოვა ერთიც და მეორეც ღირსების ორდენით, როგორ გადასცა ერთ-ერთ მათგანს 1000 ჰექტარი მიწა ერთ ლარად. ეს ყველაფერი ჩვენ გვაინტერესებს და იქნებ ჩვენებაში ასახოს, – აცხადებს კახი კახიშვილი.

პრემიერ-მინისტრის მრჩეველი ეკონომიკურ საკითხებში გია ხუხაშვილი პრეზიდენტის მიერ გაკეთებულ განცხადებას გამოეხმაურა, სადაც დავით ჩხატარაშვილთან კავშირს კატეგორიულად უარყოფს. ხუხაშვილის განმარტებით, მასთან აღნიშნულ პიროვნებას არასდროს უმუშავია.

– ჩხატარაშვილს ჩემთან არასდროს უმუშავია, არ მუშაობს და არც არასდროს იმუშავებს მომავალში. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ჩხატარაშვილი პროკურატურაში მუშაობდა. თუ პრეზიდენტი ამბობს, რომ ეს ადამიანი ჩართული იყო შსს-ს თანამშრომლების მიერ ორგანიზებულ დანაშაულში, ეს მეტყველებს იმაზე, რომ პრეზიდენტი აღიარებს, რომ საქმე გვაქვს სისტემურ დანაშაულთან და მთელი სახელმწიფო მანქანა აწამებდა, აუპატიურებდა ადამიანებს და ისინი ამ გზით იღებდნენ სასურველ აღიარებას, – განაცხადა ხუხაშვილმა.

მიხეილ სააკაშვილს ტყუილში ციხის სკანდალური კადრების ავტორი ლადო ბედუკაძეც ადანაშაულებს და აცხადებს, რომ მიხეილ სააკაშვილი არათუ არ იცნობს ლევან ქარდავას, არამედ მას კოჯორში ნაკვეთი სიმბოლურ ფასად, 1 ლარად გადასცა.

– პრეზიდენტმა გუშინწინ ვერ გაიხსენა მეგის ქარდავას ძმა ლევანი. არადა, ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციით, პრეზიდენტმა სწორედ მას გადასცა სიმბოლურ ფასად, ერთ ლარად ნაკვეთი კოჯორში. ეს ყველაფერი არც არის გასაკვირი იმ ფონზე, როდესაც ის თავად ბაჩო ახალაიასთანაც „მხოლოდ ორჯერ-სამჯერ შეხვედრაზე“ საუბრობს. სააკაშვილს პოლიტიკური ამნეზია დაემართა. ის მთელი 9 წლის განმავლობაში სიცრუეში ამყოფებდა ქვეყანას, – განაცხადა სააგენტო „ფრონტ ნიუსის“ ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე ლადო ბედუკაძემ.

ბედუკაძის თქმით, პრეზიდენტმა ასევე იცრუა, როცა თქვა, რომ არ იცნობს ყოფილი მთავარი პროკურორის მოადგილე ჩხატარაშვილს.

– სააკაშვილი თურმე არ იცნობს მისი მთავარი პროკურორის მოადგილე ჩხატარაშვილს, რომელიც უშუალოდ ზოდელავა-ადეიშვილის დავალებით აყალბებდა ციხის კადრების გამოძიებას და ცრუ კვალზე გაჰყავდა ის. მე შემიძლია, ამის დამადასტურებელი დოკუმენტაციაც წარმოგიდგინოთ. ჩხატარაშვილი გეგმავდა კუდ-ის ყველა ოპერაციასაც, კურირებდა კუდ-ის საგამოძიებო სამსახურს და მისი მითითებით ხორციელდებოდა როგორც სატელეფონო საუბრების უკანონოდ მოსმენა, ასევე კომპიუტერებიდან ინფორმაციის უკანონოდ მოპოვება, – აღნიშნა ციხის სკანდალური კადრების ავტორმა.

ლევან ქარდავას სახელმა პატარა გაუგებრობაც გამოიწვია. პარლამენტში ამ სახელითა და გვარით მოღვაწეობს ერთი დეპუტატი, რომელიც, დეპუტატ მიშა მაჭავარიანის განმარტებით, სხვა ლევან ქარდავაა. მას თურმე ის ლევან ქარდავა ნაცმოძის დატოვებას აიძულებდა.

– წალენჯიხის მაჟორიტარი დეპუტატი ლევან ქარდავაა, რომელსაც კუდ-ის ყოფილი უფროსი ჩვენი რიგების დატოვებას აიძულებდა და არა მხოლოდ მას, სხვებსაც. სამწუხაროდ, კუდ-ის ყოფილ უფროსს ამ ხელისუფლებამ განრიდება გაუკეთა და საფუძვლიანი ეჭვი გვაქვს, რომ ეს ყველაფერი ერთი დიდი თამაშია, რომელშიც ეს ადამიანები მონაწილეობენ. ამაზე პრეზიდენტმაც ისაუბრა. ჩხატარაშვილი მთავარი არქიტექტორი იყო იმის, რაც პროკურატურაში ხდებოდა. შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან ამ საქმეში მეგის ქარდავამ გაიჟღერა. ძალიან სამწუხაროა, რომ ჩვენი ხელისუფლების პირობებში ასეთი სადისტები იყვნენ. სადისტებს არ დავინდობთ და ყველამ პასუხი უნდა აგოს სამართლიანად და არა ისე, რომ ვინმე პასუხისმგებლობიდან გაათავისუფლონ, – განუცხადა სააგენტო „ივერონს“ მაჭავარიანმა.

საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი დავით საგანელიძე სამეგრელოს სამარხებში აღმოჩენილ ვიდეომასალებთან დაკავშირებით, პასუხისმგებლობას პრეზიდენტს აკისრებს.

როგორც ჟურნალისტებს ფარული ჩანაწერების განადგურებასთან დაკავშირებით საგანელიძემ განუცხადა, თუ ამ ჩანაწერებში არის რომელიმე დოკუმენტი, რომელიც შეიძლება, როგორც მტკიცებულება, გამოყენებულ იქნეს რომელიმე სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით, შეიძლება, გამონაკლისი არსებობდეს და დაშვებულ იქნეს.

– ეს უკვე ჩემი გადასაწყვეტი არ არის. არ ვარ იმის მომხრე, რომ ეს რომელიმე პოლიტიკურ ძალას დავაბრალო, მაგრამ ადამიანებს ვისაც ეს ეხებოდა, ეს იქნებოდა შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობა თუ სპეცსამსახურები, პირველ რიგში, პასუხისმგებლობა პრეზიდენტს ეკისრება, – განაცხადა საგანელიძემ.

ამ საშინელ კადრებს „თავისუფლებისა და დემოკრატიის განვითარების ინსტიტუტის“ აღმასრულებელი დირექტორი თეა თუთბერიძეც გამოეხმაურა. ის სამეგრელოში აღმოჩენილ ფარულ ჩანაწერებთან კავშირში მყოფი ყველა პირის დასჯას ითხოვს.

გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე თუთბერიძემ განაცხადა, საჭიროა გაირკვეს, იყო თუ არა ამ საკითხზე ინფორმირებული ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი ვანო მერაბიშვილი.

თუთბერიძე მიიჩნევს, რომ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულთან დაკავშირებით ვანო მერაბიშვილის კავშირი გამოიკვეთა, მას ბრალი უნდა დაუმძიმდეს.

– მინდა მოვითხოვო ყველა იმ ადამიანის უმკაცრესად დასჯა, ვინც მსგავს ქმედებებს ახორციელებდა ადამიანების მიმართ. მნიშვნელობა არ აქვს, ვინ იქნება კონკრეტული დამნაშავე. მაინტერესებს, რას აკეთებდა მთელი ამ წლების განმავლობაში ქვეყნის ხერხემლად წოდებული ვანო მერაბიშვილი და იყო თუ არა მისთვის ცნობილი, რომ მის უწყებაში მსგავსი რამის ახორციელებდნენ გარკვეული პირები, ერეოდნენ სხვა ადამიანების პირად ცხოვრებაში უკანონოდ, – აცხადებს თუთბერიძე.

არასამთავრობოები შსს-დან გამოქცევის მიზეზებს განმარტავენ

www.gyla.ge
www.gyla.ge
www.gyla.ge

რამაზ საყვარელიძე; „გაუპატიურებულ ადამიანს აიძულებდნენ, არმომხდარი ტერაქტი დაებრალებინა“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე ეთერ-ეთერია, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროში გამართული წამების ამსახველი ჯიჯინების ჩვენებას დაესწრო.

ინტერვიუ პოლიტოლოგ რამაზ საყვარელიძესთან:

– ბატონო რამაზ, იმ კადრებით, რომლებიც შინაგან საქმეთა სამინისტროში თქვენ ნახეთ, სისტემურ დანაშაულზე რამდენად შესაძლებელია, საუბარი იყოს?

– კადრებში მხოლოდ წამებაა ასახული, მაგრამ არის ერთი დეტალი, როგორც შინაგან საქმეთა მინისტრმა გვიამბო: წამება ხორციელდებოდა იმისთვის, რომ თავის თავზე აეღო დანაშაული ბიჭს, რომელსაც აწამებდნენ. დანაშაული იყო არა ის, რაც მოხდა, არამედ წინასწარ დაგეგმილი ტერაქტი აეღო საკუთარ თავზე. გამოდის, ვიღაცამ დაგეგმა ტერაქტი. ამ კონკრეტული პირების დონეზე, სავარაუდოა, რომ ტერაქტი არ დაიგეგმებოდა. უფრო „მაღლა“ უნდა დაგეგმილიყო. სხვა თუ არაფერი, ტერაქტის მოწყობას მატერიალური, საორგანიზაციო უზრუნველყოფა სჭირდება და ა.შ. ეს უკვე ნიშნავს, რომ დანაშაული სისტემურია. კადრები, რომლებიც ჩვენ ვნახეთ შინაგან საქმეთა სამინისტროში, უკვე მიუთითებს იმაზე, რომ სისტემურ დანაშაულთან გვაქვს საქმე. ჩვენ ვნახეთ ორი ეპიზოდი. ორივე შემთხვევაში ჯალათი, რომელიც წამებას ასრულებდა, ერთი და იგივე პირი იყო. ერთ შემთხვევაში ფეხმოტეხილი იყო, მეორე შემთხვევაში ფეხი უკვე ჯანმრთელი ჰქონდა. ე.ი. დრო გასული იყო. გამოდის, ამ კონკრეტული ფუნქციის შესრულებისთვის კონკრეტული პირი იყო გამოყოფილი. ეს უკვე ნიშნავს, რომ სისტემა იყო შექმნილი დანაშაულის ჩასადენად.

– ვინც კადრები ნახა, ის ადამიანები ამბობენ, რომ ეს კადრები ციხის კადრებზე უფრო შემზარავი იყო...

– დიახ, ეს კადრები მართლაც ბევრად უფრო მძიმე იყო ბევრი თვალსაზრისით.

–კონკრეტულად რა შეგიძლიათ გამოყოთ?

– უპირველესად ყოვლისა,



სექსუალური ძალადობა ნატურალურად ხორცილდებოდა. ციხის კადრებს თან ახლდა სადისტური ელემენტები, მაგრამ არ ჩანდა კონკრეტული მიზანი, იტყოდი – სიამოვნებთ და იმიტომ აწამებენ, მაგრამ ამ შემთხვევაში კონკრეტული მიზანი ჩანდა, ამ მიზანზე მე უკვე ვისაუბრე. ამ კონკრეტულ შემთხვევაში წამების მიმართ დამოკიდებულება იყო გულგრილი, ცივსისხლიანი, თუ შეიძლება ვუწოდო – ინსტრუმენტული. ეს ქცევაშიც ჩანდა, ზოგან განათებას ასწორებდნენ, რომ კარგად გადაეღო გადამღებს. იქცეოდნენ, არა როგორც ეგზალტაციაში მყოფი სადისტები, არამედ, როგორც ხალხი, რომლებსაც მიზანი აქვთ, მათზე აბსოლუტურად არ მოქმედებს ის, რაც ხდება და ეს უფრო შემზარავი იყო.

– ამ ყველაფრის შემდეგ, როგორ ფიქრობთ, ვისი პასუხისმგებლობა შეიძლება დადგეს? სადამდე მიდის ეს ვერტიკალი?

– უპირველესად ყოვლისა, პასუხისმგებლობა მიდის იმაზე, ვისი ხელქვეითებიც იყვნენ ეს ადამიანები. მერე, ცხადია, უფრო მაღლაც ადის ეს პასუხისმგებლობა. პრეზიდენტმა ორი გვარი დაასახელა. ეს გვარები კადრების ჩვენებისას არ გაჟღერებულა. ე.ი. პრეზიდენტმა საკუთარი წყაროთი მოპოვებული ინფორმაციის შედეგად დაასახელა ის გვარები, რადგან ეს გვარები მანამდე არავის დაუსახელებია, გამოდის, მან იცოდა ამ ადამიანების არსებობის შესახებ და, სანამ სკანდალი არ გახმაურდა, იქამდე ხმას არ იღებდა. ხმის ამოუღებლობით ამ დანაშაულის თანამონაწილეა, ალბათ, სულ ცოტა. ეს ის მინიმუმია, რომელიც ამ ორი დღის მოვლენების შედეგად შეიძლება ითქვას.

– თავდაცვის მინისტრმა არ გამორიცხა პრეზიდენტ საკაშვილის პასუხისმგებლობის საკითხი. გამოძიება უნდა დაინტერესდეს საკაშვილის ჩვენებით? თუმცა მასაქვს იმუნიტეტი. ის მოქმედი პრეზიდენტია. როგორ შეიძლება, მოვლენები განვითარდეს?

– ეს უკვე იურიდიული მხარეა, მაგრამ თვითონ საქმე და საკაშვილის აღიარებაც, იმ ლოგიკით, რომელიც მოგახსენეთ, ამას მოითხოვს.

– ვანო მერაბიშვილის განცხადება გამოქვეყნდა, სადაც ის კონკრეტული პირების თვითშემოქმედებასა და 200-მდე დასჯილ პოლიციელზე საუბრობს გარკვეული გადაცდომების გამო. როგორ შეაფასებთ შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრის პოზიციას?

– ის, რომ ეს არ იყო სისტემური დანაშაული და თვითონ ებრძოდა ამ დანაშაულს, ცხადია, საეჭვოა. ვანო მერაბიშვილის ეს განცხადება, არა მგონია, გულახდილი იყოს, რადგან ჩანაწერებში საუბარი იყო, რომ ძალადობა ხორციელდებოდა იმისთვის, რომ ტერაქტთან დაკავშირებით აღიარებითი ჩვენება მოეპოვებინათ. როგორც უკვე გითხარით, ტერაქტი იმდენად დიდი და სახელმწიფოებრივი საქმეა, რომ მისი სცენარის შედგენა ზედა ეშელონების გარეშე ვერ მოხდებოდა. ასე რომ, მერაბიშვილი ერთ-ერთი დამნაშავეა. მე ვფიქრობ, მერაბიშვილი ამ განცხადებით, უბრალოდ, თავს იცავს. პრეზიდენტმა თქვა, რომ ვიღაც შემოეპარათ. თუ მართლა ასეა და ვიღაც შემოიპარა, გამოდის, ქვეყნის მართვა არც ისე კარგად ხორციელდებოდა. თუ ასე არ იყო, გამოდის, საკაშვილი საქმის კურსში იყო და ყველაფერი მისი ხელდასმით ხდებოდა. რაც შეეხება მათი სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებას, ალბათ, გამოძიება უნდა ჩატარდეს და ამ ყველაფერში თანამონაწილე ყველა პირი შესაბამისად უნდა დაისაჯოს.

– ივანიშვილის ხელისუფლების ქმედება ამ ყველაფრის მერე როგორი უნდა იყოს?

– ახალი ხელისუფლების ერთადერთი ქმედება ის უნდა იყოს, რომ ობიექტური გამოძიება ჩაატაროს და მერე სასამართლოს წინაშე აგებინოს პასუხი ყველა ადამიანს, რომლებიც აღნიშნულ სისტემურ დანაშაულში მონაწილეობდნენ. ალბათ, მხოლოდ პრეზიდენტისა და ყოფილი პრემიერის დასჯაზე საუბარი არ იქნება საკმარისი. ჩვენ ვიქნებით მოწმენი იმისა, რომ გამოიკვეთებიან რიგითი ადამიანები, რომლებიც ამ სისტემურ დანაშაულს ამდიდრებდნენ. მათ შორის იქნებიან სამართალდამცველი სტრუქტურების ყველა დონეზე მომუშავე პირები, რომლებიც უშუალოდ ასრულებდნენ დაკვეთებსა და ბრძანებებს. ამ ყველაფრის შემდეგ ახალი ხელისუფლებისგან ერთადერთ რამეს უნდა ველოდოთ, როგორც ერთხელ უკვე ვთქვი, მათ უნდა ჩაატარონ გამოძიება და სასამართლოს წინაშე აგებინონ პასუხი ყველა ადამიანს, რომლებიც ამ სისტემურ დანაშაულში მონაწილეობდნენ.

– არაერთგვაროვანი დამოკიდებულებაა, უნდა აჩვენონ თუ არა საზოგადოებას ეს კადრები. ამ საკითხზე ორად გაიყო საზოგადოების მოსაზრება. თქვენი პოზიცია როგორია?

– დიახ, ამ საკითხზე მართლაც არაერთგვაროვანია პოზიციები საზოგადოების გარკვეული ჯგუფების მხრიდან. საზოგადოების რაღაც ნაწილი ამბობს, რომ უნდა ნახოს ხალხმა, რათა გაიგოს, საკუთარი თვალით ნახოს, რა ხდებოდა, რა იყო ის სისტემა, რომელიც მუშაობდა, ამ ლოგიკით უნდა აჩვენონ საზოგადოებას, მაგრამ, მეორე მხრივ, ისეთი ემოციური მუხტის შემცველია ეს კადრები, რომ ამ კადრების ნახვის შემდეგ როგორ მოიქცევა საზოგადოება, რთული სათქმელია. შეიძლება, სრულიად უკონტროლო პროცესები გამოიწვიოს. არ არის გამორიცხული, ლინჩის წესით მოქმედების მაპროვოცირებელი გახდეს, რაც თავისთავად ახალი დანაშაული იქნება. ეს კი ყოვლად დაუშვებელი და მიუღებელია. ამიტომ, ასეთი მძიმე შედეგების წინაშე რომ არ აღმოვჩნდეთ, ამ კადრების ჩვენება არ არის მიზანშეწონილი.

საქართველო-რუსეთის კონფლიქტზე იმსჯელეს

ნათია ხურცილავა

საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ვითარება ღღითიღღე ითუღღება. ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული მდგომარეობის შესახებ არც ერთი საერთაშორისო მისია არ ახორციელებს მონიტორინგს.

საქართველოში ეუთოსა და ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის აღდგენის აუცილებლობის შესახებ ისაუბრა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მოადგილემ ერიკ რუბინმა საქართველოს საგარეო უწყების წარმომადგენელთან.

საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილე დავით ზალკალიანმა ეუთო-ს უსაფრთხოების კონფერენციაზე საერთაშორისო საზოგადოებას საოკუპაციო ხაზის გასწვრივ არსებული ვითარება გააცნო.

ზალკალიანი ეუთო-ს უსაფრთხოების საკითხების გადახედვის ყოველწლიურ კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდა და საერთაშორისო საზოგადოებას საქართველოში არსებულ ვითარებაზე ინფორმაცია მიაწოდა.

კონფლიქტის თემატიკისადმი მიძღვნილ სხდომაზე მინისტრის მოადგილემ დამსწრე საზოგადოებას საქართველოს ხედვა გააცნო, თუ როგორ შეიძლება ეუთო-ს სივრცეში არსებული კონფლიქტების მოგვარების საქმეში ორგანიზაციის როლის გაზრდა და გაძლიერება, ისაუბრა რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის გარშემო არსებულ ვითარებაზე.

დავით ზალკალიანმა საერთაშორისო საზოგადოების ყურადღება კიდევ ერთხელ გაამახვილა საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში უსაფრთხოებისა და ადამიანის უფლებების კუთხით არსებული სავალალო მდგომარეობაზე. მან სხდომის მონაწილეებს დეტალურად გააცნო ის არალეგალური ნაბიჯები, რომლებსაც რუსეთის საოკუპაციო ჯარი ცხინვალისა და აფხაზეთის რეგიონებში მავთულხლართების გავლებისა და მიწათხრილების მოწყობის სახით ახორციელებს.

დავით ზალკალიანმა აღნიშნული საკითხი როგორც საჯარო გამოსვლის, ასევე ორხმრივი შეხვედრების ფარგლებში განიხილა.

კონფერენციაზე სიტყვით გამოსვლისას საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ისაუბრა ტრანსნაციონალური საფრთხეების, მათ შორის, გლობალური ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში საქართველოს როლსა და იმ წვლილზე, რომელიც ქვეყანას რეგიონული და საერთაშორისო უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში შეაქვს. მან ხაზი გაუსვა, რომ ევროპის უსაფრთხოების სისტემის გამართული და ეფექტური ფუნქციონირება დამოკიდებულია სახელმწიფოების მხრიდან ნაკისრი ვალდებულებების პირნათლად შესრულებაზე.

კონფერენციის ფარგლებში დავით ზალკალიანმა შეხვედრები გამართა ეუთო-ს გენერალურ მდივანთან ლამბერტო ძანიერთან, კონფლიქტების პრევენციის ცენტრის ხელმძღვანელთან ადამ კობიერაცკისთან, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მოადგილესთან ერიკ რუბინთან და ეუთო-ს მომდევნო თავმჯდომარე ქვეყნების – შვეიცარიისა და სერბეთის წარმომადგენლებთან.

ევროპულ და ევრაზიულ საკითხებში ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მოადგილის ერიკ რუბინის განცხადებით, მნიშვნელოვანია, საქართველოში ეუთო-ს მისია აღდგეს.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტის ცნობით, საქართველოში არსებული კონფლიქტების საკითხში ეუთო-ს როლის გაძლიერებისა და ეუთო-ს მისიის აღდგენის მნიშვნელობაზე რუბინმა ვენაში, ეუთო-ს უსაფრთხოების საკითხების გადახედვის ყოველწლიურ კონფერენციაზე სიტყვით გამოსვლისას ისაუბრა.

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა ერიკ რუბინმა ასევე ყურადღება გაამახვილა საოკუპაციო ხაზის გასწვრივ საერთაშორისო მონიტორინგის, პირველ რიგში, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის დაშვების აუცილებლობაზე.

ევროკავშირი შსს-ში მიმდინარე რეფორმებს პოზიტიურად აფასებს

ბრიუსელში, საქართველო-ევროკავშირის დიალოგის მე-6 სხდომა გაიმართა. საქართველოს მხრიდან სხდომას საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე თამარ

ბერუჩაშვილი ხელმძღვანელობდა, ევროკავშირის მხრიდან კი სხდომას ადამიანის უფლებათა და დემოკრატიის დეპარტამენტის უფროსი ვერონიკ არნოლტი უძღვებოდა.

შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ სახალხო დამცველი, იუსტიციის სამინისტროს, შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს პარლამენტის, რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს წარმომადგენლები და საქართველოს პრემიერ-მინისტრის თანაშემწე ადამიანის უფლებებისა და გენდერული თანასწორობის საკითხებში.

შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, სხდომაზე განიხილეს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული მექანიზმი,სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები,ასევე ადამიანის უფლებების მდგომარეობა აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში.

ევროპულ მხარეს მიეწოდა ინფორმაცია 2012 წლის ნოემბრიდან შსს-ში მიმდინარე და განხორციელებული რეფორმებისა და სტრუქტურული ცვლილებების შესახებ (შსს 2013 წლის სტრატეგია, ბროშურები რეფორმების შესახებ, პოლიციის ეთიკის კოდექსი, ინსტრუქციები გადაეცა ევროკომისიის წარმომადგენლებს.

ევროპულმა მხარემ სამინისტროში მიმდინარე რეფორმები დადებითად შეაფასა.

მათ რეფორმების პროცესში დახმარების კუთხით, როგორც ექსპერტების ასევე პროექტების მომზადების მიმართულებით, დახმარებისთვის მზადყოფნა გამოთქვეს.

ნიუსპრესი

თეა წულუკიანი: „ეს კადრები პირველ რიგში უნდა ნახოს საპარლამენტო უმცირესობამ, პრეზიდენტმა და ყოფილმა შს მინისტრმა“

იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი მიიჩნევს, რომ წინა ხელისუფლების დროს გაკეთებული ფარული ჩანაწერები განადგურებამდე უნდა დახარისხდეს.

როგორც იუსტიციის მინისტრმა გუშინ ჟურნალისტებს განუცხადა, ფარულ ჩანაწერებთან დაკავშირებით შექმნილი კომისია ამ ბოლო პერიოდში ინტენსიურად მუშაობდა იმაზე, თუ რა მეთოდოლოგია უნდა იქნეს შერჩეული იმისთვის, რომ ჩანაწერების ის დიდი მასა, რაც წინა ხელისუფლების პირობებშია გადაღებული, დახარისხდეს.

,,ის კადრები, რაც სამალავში აღმოჩნდა, დღეს ვერ განადგურდება, რადგან ჯერ საქმე უნდა იქნეს გამოძიებული, მაგრამ არის ისეთი ჩანაწერები, სადაც პირადი ცხოვრების ამსახველი ფაქტებია. ამ ჩანაწერებს ჯერ ალბათ დახარისხება სჭირდება მანამ, სანამ გადაწყვეტილებას მიიღებენ“, – განაცხადა თეა წულუკიანმა და დასძინა, რომ სამალავში აღმოჩენილი კადრები, რომელიც ჩვენი ქვეყნის ისტორიაში შავ ლაქად დარჩება, უნდა ნახოს ყველა დაინტერესებულმა პირმა ერთადერთი პირობით, რომ იქ მსხვერპლის ვინაობის შეცნობა იყოს შეუძლებელი.

,,ეს კადრები, ამგვარად დაშტრიხული, პირველ რიგში, უნდა ნახოს საპარლამენტო უმცირესობამ, საქართველოს პრეზიდენტმა და აწ უკვე პატიმარმა, ყოფილმა შინაგან საქმეთა მინისტრმა, რათა მათ ერთხელ და სამუდამოდ გაითავისონ, რამხელა სისტემური დანაშაულის პირობებში აცხოვრებდნენ ქვეყანას ცხრა წლის განმავლობაში“, – აღნიშნა იუსტიციის მინისტრმა.

მისივე თქმით, ყველაზე მნიშვნელოვანია, დადგინდეს თუ ვინ ხელმძღვანელობდა იმ კრიმინალურ სისტემას, რომელიც მოქმედებდა საქართველოში და იყო შესაძლებლობა, რომ ამგვარად ეწამებინათ ადამიანები და „გარეგარე ეძახათ, რომ ქვეყანაში არის დემოკრატია“.

წულუკიანი მიხეილ სააკაშვილის განცხადებასაც გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ ქვეყნის პირველი პირის განცხადებაზე ქართული ფილმი, ,,ღვინის ქურდები“ გაახსენდა.

,,მე არ მგონია რომ მწამებლები შეიძლება წარმოვაჩნოთ ,,ღვინის ქურდებად“, რომლებსაც შეუძლიათ სადღაც შეიპარონ და ადამიანი ჩუმად აწამონ. ამ მასშტაბის წამება ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს ამის პოლიტიკური დაკვეთა“, – განაცხადა წულუკიანმა.

მედიანიუსი.

გელა ნიკოლაიშვილი: „ახალმა ხელისუფლებამ ზედმეტად იკეკლუცა“

შორენა კოწოწაშვილი

რისი შედეგია ამერიკის კონგრესის ხმაურიანი განცხადება საქართველოში პოლიტიკურ ანგარიშსწორებასთან დაკავშირებით და სად დაუშვა შეცდომა მთავარმა პროკურატურამ, ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს ადვოკატ გელა ნიკოლაიშვილთან.

– ბატონო გელა, კოალიციისა და სამართლიანობის აღდგენის პროცესში საპარლამენტო უმრავლესობა ცდილობს, ყოფილი ხელისუფლების მაღალჩინოსანთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა პოლიტიკურ შურისძიებად არ შეფასდეს. ამ ფონზე გაჩნდა ამერიკის კონგრესის გახმაურებული განცხადება, სადაც პოლიტიკური დევნის ნიშნებზეა საუბარი. როგორ აფასებთ კონგრესის ბოლო განცხადებას?

– ეს იმიტომ მოხდა, რომ ახალმა ხელისუფლებამ დაიწყო ზედმეტი კეკლუცობა და რევერანსების გაკეთება, ზედმეტი ყურადღების მიქცევა იმაზე, რას იტყოდა ხალხი – ამ შემთხვევაში, რას იტყოდა დასავლეთი. იმის ნაცვლად, რომ მათ დასავლეთისთვის სააკაშვილის ხელისუფლების ნამდვილი სახე დაენახვებინათ, ის, რომ მათი მართვის სტილი და მეთოდი იყო წამება, არაადამიანური მოპყრობა, ტოტალური მოსმენები, უდანაშაულო ადამიანების ქუჩაში დახვრეტა, პოლიტიკური ნიშნით დევნა და ა.შ. და ამის ჩვენება შეიძლებოდა აქამდეც. მე მგონი, ახლა გამოფხიზლდნენ და ახლა დაიწყეს ამაზე მუშაობა. ეს რომ ადრე გაეკეთებინათ, დასავლეთი, უბრალოდ, თავის თავს არ მისცემდა უფლებას, მსგავსი განცხადება გაეკეთებინა, რომ ასეთი აქტიური მხარდაჭერა გამოეცხადებინათ სააკაშვილის დამნაშავე რეჟიმისათვის. ხელისუფლების შეცდომაა ის, რომ მათ ვერ აჩვენეს სააკაშვილის რეჟიმის ნამდვილი სახე. ამიტომ ისმის ამერიკიდან მკვეთრი განცხადებები, თუმცა, სიმართლე რაც არ უნდა მალო, ადრე თუ გვიან, მაინც გაჟღერდება. ამ შემთხვევაში სიმართლე არის ის, რომ სააკაშვილის მმართველობა იყო ანტიდემოკრატიული, არაადამიანური. სისტემა იყო ასეთი, დამნაშავე. ძირითადად ლათინური ამერიკის ქვეყნებში ყოფილა ასეთი რეჟიმები, იქნება ეს სალვადორი, კუბა, ნიკარაგუა და ა.შ. იქ ასეთი რეჟიმები ზოგან ათწლეულებიც არის. ხელისუფლებას უნდა დაენახვებინა დასავლეთისთვის, რომ სააკაშვილის რეჟიმიც სწორედ ასეთი იყო. ოღონდ მათ კარგად ჰქონდათ ათვისებული პიარის ტექნოლოგია და თავს წარმოაჩენდნენ დემოკრატ მმართველებად. „ქართულ ოცნებას“ სწორედ ამ ფასადის მიღმა უნდა გადაეხედებინა დასავლელი პოლიტიკოსები. მათ ამის უნარი უნდა ჰქონოდათ. სამწუხაროდ, ახალმა ხელისუფლებამ ეს უნარი ვერ გამოამჟღავნა აქამდე. იმედია, ამის შემდეგ უფრო ქმედითი ნაბიჯები იქნება მათგან.

– ანუ ივანიშვილის ხელისუფლებამ თავიდანვე არასწორი ნაბიჯებით დაიწყო მართვა?

– კი. ამ სფეროში, მე ვიტყოდი, არასწორი ნაბიჯები გადაიდგა, იმიტომ რომ, დამნაშავეს უნდა დაარქვა დამნაშავე და არა კოჰაბიტაციის მონაწილე. მიუხედავად იმისა, რომ ამას დასავლეთი ითხოვდა. კი ბატონო, ვინც დანაშაულში არ არის გარეული, მასთან თანამშრომლობა შეიძლება. ასეთი პიროვნებები ნაცმოძრაობის გვერდშიც, რა თქმა უნდა, იყვნენ, მაგრამ ის ფაქტი, რომ მთლიანად რეჟიმი იყო დანაშაულებრივი, ამის წარმოჩენაზე არასათანადო ძალისხმევა იყო მიმართული. ჩემი აზრით, ეს შეცდომა იყო.

– კონგრესის ამ განცხადებამ აჩვენა, რომ სააკაშვილის რეჟიმის გასამართლება აუცილებლობას წარმოადგენდა?

– რა თქმა უნდა. რეჟიმის გასამართლების აუცილებლობა იყო. ამ ბოლო დროს სააკაშვილი ამბობდა განათლების კანონზე საუბრისას, საბჭოთა პერიოდის შმორის სუნიაო. საბჭოთა პერიოდის ცუდი სუნიაო. სწორედ ამ სუნზეა ლაპარაკი. სააკაშვილის რეჟიმიდან სწორედ ეს სუნი მოდის – ჭაობის სუნი. ჭაობიდან კი, რაც არ უნდა წესიერი ადამიანი იყოს და რაც არ უნდა სუფთა, როცა ჭაობში ხარ, იმ ჭაობიდან სუფთა ვერ ამოხვალ. ის ცალკეული პიროვნებები, რომლებსაც უშუალოდ დანაშაული არ აქვთ ჩადენილი, ვგულისხმობ ნაცმოძრაობის ლიდერებსა და რიგით ადამიანებს, ისინი თუ ამ ჭაობის სუნს ვერ გრძნობენ, მაშინ ისინიც იმ ჭაობში არიან, რომელშიც კომუნისტური პარტიის წევრები იყვნენ. ისინი ისე იქცეოდნენ, თითქოს ვერაფერს ამჩნევდნენ და თავგამოდებით იცავდნენ თავიანთ პარტიას. მე მგონი, ნაციონალებთან გამიჯვნის დროც წავიდა. მათ ილუზიები აქვთ, რომ ხელისუფლებაში დაბრუნდებიან. ეს ნაცმოძრაობის წევრებიც ისევ ამ ოდიოზური ფიგურების გვერდით რჩებიან. ვურჩევდი, ნუ ჩაჰყვებიან მათ საფლავში. უნდა გააცნობიერონ, რომ ესენი დამნაშავე ლიდერები არიან.

– მთავარი პროკურორის განცხადებით, სამართლიანობის აღდგენის პროცესი ასე ნელი ტემპით იმიტომ მიმდინარეობს, რომ ეს არ იყოს აღქმული, როგორც პოლიტიკური შურისძიება. ადვოკატების ნაწილი, მათ შორის თქვენც, კომენტარებში აფიქსირებთ, რომ უფრო მეტის გაკეთება შეეძლო პროკურატურას.

– მე რაც ვილაპარაკე, რომ ხელისუფლება ამ ყველაფერს არ აკეთებდა იმ მასშტაბით და იმ სიღრმით, როგორც უნდა გაეკეთებინა, ეს ყველაფერი, პირველ რიგში, სწორედ პროკურატურას ეხება, იმიტომ, რომ ეს ხელისუფლებას პროკურატურის ხელით უნდა გაეკეთებინა. პროკურატურა ამ თვალსაზრისით ხელისუფლების წამყვანი ნაწილია. აქედან გამომდინარე, შურისძიებად აღიქმება იმ შემთხვევაში, თუ სათანადო მტკიცებულებები არ იქნება, მაგრამ, როდესაც მტკიცებულებები ნამდვილად არის და თანაც – უამრავი, ეს ადვოკატებმა კარგად ვიცით, ადვოკატებს ყოველდღიური კონტაქტი აქვთ იმ ადამიანებთან, რომლებიც არიან რეჟიმის მსხვერპლი, ამ ფონზე, რა თქმა უნდა, პროკურატურას უფრო მეტი ძალისხმევა მართებდა. ის, რომ ვთქვათ, უდანაშაულო არ უნდა დააპატიმრო, რომ ფრთხილად უნდა იყო, როდესაც თავისუფლების აღკვეთაზე მიდის საქმე და მტკიცებულებები მყარი უნდა იყოს, რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი სწორია, მაგრამ, შესაძლებელია, რომ ეს ყველაფერი სასამართლოსა და კვალიფიციური მუშაობის შედეგად დადო და სააშკარაოზე გამოიტანო.

– თქვენ კი ამბობთ, რომ უამრავი მტკიცებულებაა, თუმცა პრესასთან საუბარში ნაციონალი მაღალჩინოსნების ადვოკატები აცხადებენ, რომ არ არსებობს მტკიცებულებები ბაჩო ახალაიასა და ვანო მერაბიშვილის წინააღმდეგ. მართლაც უჭირს ამ საქმეში პროკურატურას თუ ეს ყველაფერი იმის ბრალია, რომ ადეიშვილის მორჩილი პროკურორები დარჩნენ და ამ ხელისუფლებამ ისინი დააწინაურა? გარედან შეფასებებში ზოგი აფიქსირებს, რომ ნაციონალები პროკურატურაზე გარკვეულ მართვას ინარჩუნებენ.

– მთლად მართვას ვერ ინარჩუნებს, მაგრამ ეს გარკვეულწილად იმის შედეგია, რომ ძველი პროკურორები დარჩნენ. კვალიფიკაციის ნაკლებობაც არის და თანაც მათ საკუთარი ტყავის გადარჩენის სურვილი აქვთ, რადგან ბევრ დანაშაულში თვითონ არიან გარეული. ისიც მართალია, რომ ერთდროულად, ერთი ხელის მოსმით ვერ შეცვლი ყველა კადრს, მაგრამ, მეორე მხრივ, არ არის სწორი, როცა ძველი კადრების 80%-ს დატოვებ. მაქსიმუმ, 20-25% უნდა დატოვო ძველი კადრებისა და ძირითადი ნაწილი უნდა შეცვალო.

– ბოლოს ვისაუბროთ სასამართლო ხელისუფლებაში შექმნილ ვითარებასა და მოსამართლეთა რიგგარეშე კონფერენციის მიერ არჩეულ ახალ იუსტიციის საბჭოზე. საბჭოს წევრების არჩევნებმა აჩვენა, რომ სააკაშვილმა სასამართლოზე გავლენა შეინარჩუნა?

– ამ ეტაპზე ნაციონალებმა ეს გავლენა შეინარჩუნეს, მაგრამ, ვინაიდან იცვლება სიტუაცია, მოდის ოქტომბერი და საპრეზიდენტო არჩევნები, სადაც, არა მგონია, ნაციონალების კანდიდატმა გაიმარჯვოს, მოდის ადგილობრივი არჩევნები და მერიები და საკრებულოები, ადგილობრივი გამგეობები აღარ იქნება ნაციონალების ხელში, აქედან გამომდინარე, სასამართლო ხელისუფლება ნაციონალების ყურმოჭრილი მონა ვერ იქნება. თავისდაუნებურად შეიცვლება ის, რომ კუბლაშვილმა შეინარჩუნა ძალაუფლება სასამართლო სისტემაზე და ეს სისტემა აღარ იქნება დაქვემდებარებული არც ნაცმოძრაობაზე და არც „ქართული ოცნების“ მიერ იქნება დამონებულ მდგომარეობაში. შეიძლება, ეს ობიექტურად კარგიც იყოს და ობიექტურად სასამართლოც გათავისუფლდეს ნებისმიერი პოლიტიკური გავლენისაგან. ვგულისხმობ მეტ-ნაკლებად გათავისუფლებას, თორემ სრული გათავისუფლება არ მოხდება. რა თქმა უნდა, სასამართლოში უკეთესი მდგომარეობა იქნება, ვიდრე წინა ხელისუფლების დროს, იმიტომ, რომ სიტუაცია შეიცვლება.

ბრაზილიაში ანტისამთავრობო აქციებზე მილიონზე მეტი ადამიანი გამოვიდა

მილიონზე მეტი ადამიანი გამოვიდა წუხელ ბრაზილიის 100-ზე მეტ ქალაქში ანტისამთავრობო აქციებზე. მოხდა შეტაკებები პოლიციასა და დემონსტრანტებს შორის. სან-პაულოს შტატში 18 წლის ბიჭი დაიღუპა მას შემდეგ, რაც საპროტესტო აქციის მონაწილეთა მიერ აღმართულ ბარიკადს ავტომობილი შეეჯახა. ინფორმაციას ამის შესახებ „ბი-ბი-სი“ ავრცელებს.

პოლიციამ აქციის მონაწილეთა წინააღმდეგ ცრემლსადენი გაზი და რეზინის ტყვიები გამოიყენა. დაზარალებულია 29 ადამიანი. ქვეყნის დედაქალაქში საგარეო საქმეთა სამინისტროს შენობაში დემონსტრანტებმა ხანძარიც კი გააჩინეს. ბრაზილიის პრეზიდენტმა დილმა რუსეფმა ქვეყანაში შექმნილი ვითარების გამო, მომდევნო კვირას იაპონიაში დაგეგმილი ვიზიტი გადადო.

აღსანიშნავია, რომ ქვეყნის ხელისუფლებამ გააუქმა მიღებული გადაწყვეტილება ავტობუსებსა და მეტროში მგზავრობის საფასურის გადახდის გაზრდის თაობაზე, თუმცა ამ გადაწყვეტილებამ საპროტესტო აქციის მონაწილეები ვერ დაამშვიდა.

„საქმე ფასებში არ არის. ხალხს პოლიტიკური სისტემა არ მოსწონს. ჩვენ ცვლილებები გვინდა“, – აცხადებენ აქციის მონაწილეები და აღნიშნავენ, რომ ხელისუფლება უზარმაზარ თანხებს ხარჯავს, ემზადება რა 2014 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ჩასატარებლად. აქციის მონაწილეები აცხადებენ, რომ ისინი ჩემპიონატის წინააღმდეგნი არ არიან. ისინი იმ კორუფციას აპროტესტებენ, რომელიც ამ მზადების პროცესში წარმოჩინდება.

საპროტესტო გამოსვლები არ ცხრება დედაქალაქ ბრაზილიასა და სალვადორშიც.

ქვეყნის პრეზიდენტმა ქვეყანაში არსებული ვითარების გამო იაპონიაში ვიზიტი გადადო.

შეგახსენებთ, რომ საპროტესტო გამოსვლების დაწყების ერთ-ერთ მიზეზად ავტობუსებისა და მეტროს ბილეთებზე ფასების მატების გადაწყვეტილება იქცა.

ბრაზილიის ეკონომიკა მსოფლიოში მეექვსე უდიდესია მთლიანი შიდა პროდუქტის თვალსაზრისით და მეშვიდე მსყიდველობითი უნარის პარიტეტის მიხედვით. ბრაზილიის ეკონომიკა მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდია. ეკონომიკურმა რეფორმებმა ქვეყანას ახალი საერთაშორისო აღიარება მოუტანა.

ევროკავშირის ქვეყნები „ჰეზბოლას“ ტერორისტულ ორგანიზაციათა სიაში შეყვანას ეწინააღმდეგებიან

ევროკავშირის ქვეყნების მცირე ჯგუფი დიდი ბრიტანეთის წინადადებას არ უჭერენ მხარს, რომელიც „ჰეზბოლას“ ტერორისტულ ორგანიზაციათა სიაში შეყვანას გულისხმობს.

„ობსერვერის“ ცნობით, ეს ინიციატივა ისეთმა ქვეყნებმა დაბლოკეს, როგორებიც არიან ჩეხეთი და ავსტრია. რამდენიმე თვის წინ, ევროკომისიის ხელმძღვანელმა ჟოზე მანუელ ბაროზომ განაცხადა, რომ ბულგარეთში ავტობუსის აფეთქებასთან დაკავშირებით, ორგანიზაცია „ჰეზბოლას“ ტერორისტულ ორგანიზაციათა სიაში შეყვანას განიხილავს. ტერორისტულ სიაში „ჰეზბოლას“ შესაყვანად ევროკავშირის ყველა წევრი ქვეყნის თან-

ხმობაა საჭირო.

„ჰეზბოლა“ ყურანიდან ნასესხები ფრაზაა და ნიშნავს „ღმერთის პარტიას“; პოპულარული სახელია შემდეგი ისლამური ორგანიზაციებისთვის:

ჰეზბოლა (ლიბანი) – შიიტური პოლიტიკური პარტია და მილიცია, რომელმაც დიდი წვლილი გაიღო ლიბანიდან ისრაელის განდევნაში; მას ტერორისტულ აქციებში ბრალს სდებდნენ.

ჰეზბოლა (თურქეთი) – ქურთების ისლამური სუნიტური დაჯგუფებაა.

ჰეზბოლა (ერაყი) – შიიტური პოლიტიკური პარტია, რომელიც სადამ ჰუსეინის რეჟიმის წინააღმდეგ გამოდიოდა.

ქურთთა რევოლუციური ჰეზბოლა – ერაყის ქურთთა ისლამისტური დაჯგუფება, დაფუძნებული 1983 წელს და გაუქმებული 2002-ში.

ჰეზბოლა (ირანი) – პოლიტიკური მიმართულება ირანში.

ამერიკის კონგრესში კანონპროექტი შეიტანეს, რომელიც ობამას სირიის ოპოზიციის შეიარაღებას უკრძალავს

ამერიკელი სენატორების ჯგუფმა კონგრესში კანონპროექტი შეიტანა, რომელიც ამერიკის პრეზიდენტს ბარაკ ობამას სირიის ოპოზიციის შეიარაღებას უკრძალავს.

დოკუმენტის ავტორები არიან დემოკრატი სენატორები ტომ იუდოლი, კრის მერფი და რესპუბლიკელი სენატორები – მაიკ ლი და რენდ პოლი.

ეს კანონპროექტი, „ამერიკის თავდაცვის უწყებას, ცენტრალურ სადაზვერვო სააგენტოსა და დაზვერვის სხვა ორგანოებს სირიაში ნებისმიერი ტიპის სამხედრო ოპერაციის დაფინანსებას“ უკრძალავს. თუმცა, კანონპროექტი სირიაში ჰუმანიტარული დახმარების გაგზავნას არ კრძალავს.

შეგახსენებთ, რომ ცოტა ხნის წინ თეთრმა სახლმა სირიის მთავრობა ქიმიური იარაღის გამოყენებაში ოფიციალურად დაადანაშაულა, რის შემდეგაც ამერიკამ სირიელი მეამბოხეებისათვის სამხედრო დახმარების აღმოჩენაზე ფიქრი დაიწყო.

11 ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრები, რომლებიც საკუთარ თავს „სირიის მეგობრებად“ მოიხსენიებენ, ყატარის დედაქალაქ დოჰაში შეკრებას გეგმავენ. დიპლომატები სირიის ოპოზიციური ძალებისთვის დახმარების, მათ შორის სამხედრო მხარდაჭერის აღმოჩენის ვარიანტების განსახილველად იკრიბებიან. ამის შესახებ ინფორმაციას ბი-ბი-სი ავრცელებს.

შაბათს დაგეგმილ შეხვედრაში მონაწილეობას მიიღებენ საფრანგეთის, იტალიის, გერმანიის, დიდი ბრიტანეთის, ამერიკის შეერთებული შტატების, იორდანიის, ეგვიპტის, ყატარის, არაბეთის გაერთიანებული საემიროების, თურქეთისა და საუდის არაბეთის საგარეო საქმეთა მინისტრები.

გერმანია უკრაინაში „შერჩევით სამართალს“ გმობს

გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა გვიდორ ვესტერველმა უკრაინაში „შერჩევითი სამართალის“ გამოყენება დაგმო და განაცხადა, რომ პარასკევს ქვეყნის პრეზიდენტ ვიქტორ იანუკოვიჩთან შეხვედრისას მას მოუწოდებს, ყოფილ პრემიერ იულია ტიმოშენკოს გერმანიაში მკურნალობის ნება დართოს.

„როიტერის“ ცნობით, იანუკოვიჩთან შეხვედრამდე მინისტრი ჟურნალისტებს შეხვდა, სადაც აღნიშნა: „ჩვენი აზრით, ტიმოშენკოს შესაფერისი მკურნალობის სრული უფლება აქვს. გერმანიის შეთავაზება, ყოფილმა პრემიერმა გერმანიაში იმკურნალოს, კვლავ ძალაში რჩება. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ევროპაში „შერჩევითი სამართლის“ გამოყენებას ადგილი არ ჰქონდეს, ეს დაშვებული არ უნდა იყოს არც ევროპაში და არც უკრაინაში“, – აღნიშნა მინისტრმა.

შეგახსენებთ, რომ 52 წლის ტიმოშენკოს 2011 წლის ოქტომბერში, რუსეთთან დადებულ გაზის შეთანხმებასთან დაკავშირებით, შვიდწლიანი პატიმრობა მიუსაჯეს.

– უკრაინის ყოფილი პრემიერ-მინისტრი შეიძლება შემოდგომაზე გაათავისუფლონ, რათა გერმანიაში სამკურნალოდ გამგზავრება შეძლოს, – ტიმოშენკოს მომავალ გათავისუფლებაზე ბრიტანული გამოცემა „გარდიანი“ წერს.

თავდაპირველად, ტიმოშენკოს სამომავლო ბედზე ყოფილმა დეპუტატმა, იური გრიმჩაკმა ისაუბრა. მისი თქმით, ამას წინათ, უკრაინის გენპროკურორის პირველმა მოადგილემ, რენატ კუზმინმა განაცხადა, რომ ექსპრემიერი საზღვარგარეთ მკურნალობისთვის შეიძლება ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად გაიგზავნოს.

„ეს, თავისთავად, იმედს იძლევა, რომ ასეთი გადაწყვეტილება უახლოეს დროში იქნება მიღებული“, – განმარტავს ექსდეპუტატი. ამავე დროს, კუზმინი არ აზუსტებს პირობებს, რის საფუძველზეც ტიმოშენკოს გერმანიაში დარჩენა შეეძლება, აღნიშნავს „გარდიანი“. იულია ტიმოშენკო ხარკოვის საავადმყოფოში 2012 წლის მაისში მოათავსეს. ის ხერხემლის თიაქრის გამო ძლიერ ტკივილებს განიცდის. პოლიტიკოსის მკურნალობაში, ბერლინური კლინიკის ექიმები იღებენ მონაწილეობას.

მოამზადა გერა მამულაშვილმა

როდის მიიღებს კონსტანტინე გამსახურდიას ძეგლი დასრულებულ სახეს?

მერი ნამორაძე

წელს დიდ ქართველი მწერლის, კონსტანტინე გამსახურდიას დაბადებიდან 120 წელი სრულდება. მრგვალ თარიღთან დაკავშირებით მაინც თუ გაახსენდება ქალაქის მერიას, რომ ფალიაშვილის სკვერში დადგმული მწერალ-აკადემიკოსის მემორიალური ანსამბლი დასამთავრებელია, კარგი იქნება. ძეგლის ავტორები 30 წელია ცდილობენ ხმა მიაწვდინონ შესაბამის სამსახურებს, რათა დედაქალაქში დაუსრულებლად დარჩენილი ერთადერთი ძეგლი დასრულდეს და ღირსეულად წარმოჩნდეს. ყველაზე კურიოზული ის გახლავთ, რომ კონსტანტინე გამსახურდიას ძეგლი 2007 წლის ქალაქის ბიუჯეტში იქნა შეტანილი, ანსამბლის რეკონსტრუქცია შეტანილი იყო ასევე 2009 წლის ბიუჯეტში, 2010 წლის ბიუჯეტითაც აპირებდნენ მის დასრულებას, მაგრამ ძეგლი დღემდე „ნახევარფაბრიკატის“ სახით დგას. თუ რატომ. ამის შესახებ „ახალ თაობას“ ძეგლის ერთ-ერთი ავტორი, არქიტექტორი თამაზ თევზაძე ესაუბრა.

– ბატონო თამაზ, კონსტანტინე გამსახურდიას ძეგლი 1983 წელს გაიხსნა, მაგრამ დაგეგმილი ბრინჯაოს ნაცვლად ცემენტით გაკეთდა, რამ გაიპირობა ასეთი გადაწყვეტილება, საბჭოთა ხელისუფლებაც უსახსრობას განიცდიდა მაშინ?

– მოგახსენებთ! 1983 წელს ძეგლის გახსნა მწერლის დაბადებიდან 90 წლის იუბილეს მიეძღვნა. მაშინ მოქალაქეებმა არ იცოდნენ, რომ სრულყოფილი მხატვრულ-არქიტექტურული ანსამბლის ნაცვლად ბუტაფორიას უმზერდნენ. დიახ, ბრინჯაოს ქანდაკების ნაცვლად შეფერადებულ ხსნარში გახსნილი ცემენტის ქანდაკება დავამზადეთ, რადგან იმ წლების გამოიცა საკავშირო მთავრობისა და ცენტრალური კომიტეტის ერთობლივი დადგენილება, რომელიც კრიტიკულად აფასებდა სსრკ-ს ტერიტორიაზე აშენებულ თუ მშენებარე მემორიალური ანსამბლების ზომებსა და გაუმართლებლად დახარჯულ თანხებს. ამ პროცესზე კონტროლის დაწყების მიზნით, ქვეყანაში აიკრძალა პიროვნებათა ძეგლებისა და მხატვრულ-არქიტექტურული ანსამბლების აგება ცენტრალური მთავრობის ნებართვის გარეშე. ყველა რესპუბლიკას დაევალა ცენტრში, მოსკოვში წარედგინა სია სამომავლოდ ასაგებ ან უკვე წარმოებაში ჩაშვებულ ნაწარმოებებზე, რაც მნიშვნელოვნად ზღუდავდა ან თითქმის კრძალავდა მოქანდაკის პროფესიას, მათ შორის, კონსტანტინე გამსახურდიას ძეგლის აგებასაც. ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ მაშინ სარისკო ნაბიჯი გადადგა და წარდგენილ ჩამონათვალში შეიტანეს, რომ გამსახურდიას ძეგლის სამუშაოები 90 პროცენტით იყო შესრულებული და დასასრულს უახლოვდებოდა.

მემორიალური ანსამბლის სრულყოფილად დამთავრება მოკლე დროში შეუძლებელი იყო, ხოლო მოსალოდნელი რევიზია და მასთან დაკავშირებული სკანდალი გადაუდებელი ზომების მიღებას ითხოვდა. ამ გარემოებამ გვაიძულა დათმობაზე წავსულიყავით იმ პირობით და იმედით, რომ დროთა განმავლობაში შესაძლებელი გახდებოდა ანსამბლის სრულყოფილად დამთავრება. სწორედ ამიტომ წარმოდგა ძეგლი არსებული სახით. ორიოდე წლის შემდეგ ძალადაკარგულად გამოცხადდა ხსენებული დადგენილება, რაც რეალურ საფუძველს ქმნიდა ძეგლის სრულყოფისათვის, მაგრამ მიუხედავად ავტორთა არაერთგზის შეხსენებისა და ზემდგომთა დამაიმედებელი რეზოლუციისა, საქმე ადგილიდან არ დაძრულა. დღემდე ვერ მივაღწიეთ იმას, რომ სპეციალისტთა შეფასებით, მე-20 საუკუნის ერთ-ერთი საუკეთესო ძეგლი მყარ მასალაში ჩამოსხმულიყო და ანსამბლის არქიტექტურულ მხარესაც დასრულებული სახე მიეღო. იმის გათვალისწინებით, რომ დროთა განმავლობაში ძეგლის ელემენტები ზიანდება და იშლება, ხოლო ლითონისა და საშენი მასალების ღირებულება დღითიდღე იზრდება, ვითარება კიდევ უფრო მძიმდება.

– ნაციონალურმა ხელისუფლებამ როდიდან გამოიჩინა ყურადღება ძეგლის მიმართ?

– 2006 წლიდან პასუხი მივიღეთ. მანამდე, ვისაც არ ვწერდით, პასუხიც კი არ იყო ხოლმე. მხოლოდ სიტყვიერად გვეუბნებოდნენ, რომ ფული არ იყო საამისოდ. მაშინ უგულავა ახალი დანიშნული იყო და დაავალა თავის სამსახურებს, მათ შეგვადგენინეს ხარჯთაღრიცხვა, დიდი ყურადღება გამოიჩინა მაშინდელმა კეთილმოწყობის სამსახურმა. მომზადდა ყველა საჭირო საბუთი, საკრებულომაც განიხილა 2 კომისიაში და კეთილმოწყობის სამსახურის მაშინდელი უფროსი, სუბელიანი ვიცე-მერს, ახვლედიანს კიდეც ატყობინებდა, რომ მზად იყვნენ საქმის დასაწყებად. შეტანილი იქნა 2007 წლის ბიუჯეტში ძეგლის დასრულება. დაიწყო 2007 წელი, საქმე რომ არ დაიძრა, მივაკითხეთ ახვლედიანს, ეს საქმე შევახსენეთ, მან ისევ სუბელიანის სამსახურს დაავალა ქალაქის მთავრობის სხდომაზე წარმოედგინათ თავიანთი მასალა. კვლავ მოამზადა ეს მასალა კეთილმოწყობის სამსახურმა, ამასობაში სუბელიანი გახდა მინისტრი, სიტყვიერად კი შემოგვითვალა, რომ 2008 წლის დასაწყისში ამას აუცილებლად გავაკეთებთო. დაიწყო 2008 წელი, სუბელიანი ამ სამსახურში აღარ იყო, დროებით შემსრულებელი საქმის კურსში არ იყო. როცა გავაცანით საქმე, მოიწონა, მაგრამ ბიუჯეტი უკვე დამტკიცებულიაო. მოგეხსენებათ, რაც მოხდა 2008 წელს, მაგრამ ამ წლის ბოლოს ჩვენ კვლავ წამოვჭერით საკითხი. 2009 წლის ბიუჯეტში კვლავ შეიტანეს. ამასობაში კვლავ შეიცვალა სამსახურის ხელმძღვანელობა, ისინიც ჩავაყენეთ საქმის კურსში, განწყობა იყო დადებითი. მათ არ იცოდნენ, რომ ხარჯთაღრიცხვა უკვე გაკეთებული გვქონდა, რომელიც სამსახურის მიერ უკვე დამტკიცებულიც იყო და მიღებულიც.



ბრინჯაოში ქანდაკების ჩამოსხმის გარდა, უკან უნდა იყოს სტელა – კედელი, ზედ მოპირკეთებული ქვით, ჩუქურთმებით, წარწერილი აფორიზმებით, ესეც არ ესწრებოდა 90 წლის იუბილის დროს და გასაკეთებელი დარჩა. გვითხრეს, ხარჯთაღრიცხვა ცალკე გააკეთეთ ქანდაკებაზე, ცალკე არქიტექტურაზე, რადგან სხვადასხვა შემსრულებელი ეყოლებათო. გავაკეთეთ ესეც. მერე გვითხრეს, ერთად ჯობსო. როგორც გამოირკვა, კეთილმოწყობის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილემ დავითულიანმა დაავალა მათ ქვემდებარე ორგანიზაციას, რომელიც, როგორც ჩანს, ექსპერტიზის მოვალეობას ასრულებდა, საქმის გაცნობა. მათ ჩვენი მონაცემები მიიღეს, გაითვალისწინეს და გამოვიდა, რომ მათი ხარჯთაღრიცხვით ერთნახევარჯერ მეტი ხარჯი იქნებოდა, ვიდრე ბიუჯეტში იყო ჩადებული. დააბრუნეს უკან, რადგან ხარჯთაღრიცხვაში სხვა ციფრიაო და ჩვენ მექანიკურად ყველაფერი შევასრულეთ ისე, რომ თანხა დამთხვეოდა ბიუჯეტში ჩადებულს. მიიღეს ეს ყველაფერი, მაგრამ გვითხრეს, უნდა გამოცხადდეს ტენდერი და თქვენ უნდა მიიღოთ მონაწილეობაო. ვუთხარით, რომ ჩვენ ვართ ავტორები და ჩვენს გასაკეთებელ საქმეზე ტენდერის გამოცხადება ნიშნავს იმას, რომ ვიღაც იტყვის, ამ ქანდაკებაზე, ზუსტად ასეთს გავაკეთებ მე, მაგრამ იაფად და ავტორი ვინ იქნება? გამკეთებელი თუ ის, ვინც ნამდვილად ავტორია? ვითხოვდით, რომ ხელშეკრულება დაედოთ ჩვენთან და ტენდერი გამოცხადებულიყო მხოლოდ შემსრულებლის შესარჩევად.

– რა პასუხი მიიღეთ ამაზე?

– წესია ასეთიო, რომ რაკი ღირებულება გარკვეულ თანხაზე მეტია, ამაზე აუცილებლად უნდა გამოცხადდესო ტენდერი. თქვენ მაინც მოიგებთო. ამით ტენდერების მიმართ დამოკიდებულება გამოამჟღავნეს. როგორც ჩანს, წინასწარ იციან, ვინ უნდა მოიგოს. ამაზეც დავთანხმდით, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს კანონი არქიტექტორთა საქმიანობის თაობაზე, სადაც საავტორო უფლებებთან დაკავშირებით წერია, რომ თუ ნაწარმოებში შესატანია რაიმე ცვლილება, მესაკუთრე მოვალეა ავტორს შეუთანხმოს. თუ ავტორი წინააღმდეგია, დავა სასამართლომ უნდა განიხილოს და მისი გადაწყვეტილების შესაბამისად იმოქმედონ. ჩვენი შემთხვევა ეს არ არის, პირიქით, ვთხოვთ, რომ გავაკეთოთ საქმე. კანონში ასევე წერია, რომ შესატანი ცვლილება ნაწარმოებში უნდა მოხდეს ავტორის მონაწილეობით ან მასთან შეთანხმებით. ეს უკვე ტენდერს გამორიცხავს. როდესაც ჩვენი საქმე მივიდა ტენდერამდე და შესყიდვების სამსახურს გადაეცა ხარჯთაღრიცხვა, იქ ჩაიწერა, რომ უნდა გაკეთებულიყო ავტორისეული გადაწყვეტილების შესაბამისად. ამ სამსახურში გვითხრეს, რაკი წერთ ავტორისეულით, თქვენთან უნდა გვქონდეს საქმე და ტენდერი რაღა საჭიროაო. ჩვენ უნდა მივიღოთ ტექნიკური დავალება კეთილმოწყობის სამსახურიდან და საკითხის განსახილველად კიდევ შევიკრიბოთო. შევიკრიბეთ და ქალბატონმა დავითულიანმა, რომელიც იურისტია, ყველა დაგვაბნია. ამიტომ გადაწყვეტილება ვერ მიიღეს და გვითხრეს, გვაცადეთ ერთი კვირაო. გავიდა ორი კვირაც და ათიც.

– ანუ საბოლოო პასუხი როგორია?

– გვაქვს გაუთავებელი მიწერ-მოწერა. გვითხრეს, რომ ჩვენ მიერ წარდგენილი იქნა არა მხოლოდ კონსტანტინე გამსახურდიას არსებული ძეგლის, არამედ მთლიანი მხატვრულ-არქიტექტურული ანსამბლის რეკონსტრუქციის ხარჯთაღრიცხვა. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, კეთილმოწყობის სამსახურს უნდა შეედგინა ტექნიკური დავალება ტენდერის გამოსაცხადებლად, რაც ვერ ხერხდება, რადგან გათვალისწინებულია ავტორის უშუალო მონაწილეობა ამ სამუშაოებში. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის თანახმად კი, შემსყიდველს არ აქვს უფლება სატენდერო დოკუმენტაციაში რაიმე ხერხით, მით უმეტეს, პირდაპირ, მიუთითოს კონკრეტულ შემსრულებლებზე; უნდა წარგვედგინა საავტორო ზედამხედველობის ჰონორარი და რაკი ეს მოთხოვნილი დოკუმენტაცია არ წარგვიდგენია, კეთილმოწყობის სამსახური ვერ ახერხებს ძეგლის რეკონსტრუქციის ტექნიკური დავალების შედგენას და ვერ ვაცხადებთ ღია ტენდერსო.

ოთხი ვარიანტი რომ გავაკეთეთ, მერე გვითხრეს, თქვენ ხარჯთაღრიცხვა კი არა, ზედამხედველობის ჰონორარი უნდა გაგეკეთებინათო. კი, უნდა გაგვეკეთებინა ზედამხედველობის ჰონორარი მაშინ, როცა ჩემს გასაკეთებელ საქმეს სხვა აკეთებს და მე თავზე ვადგავარ. მოდელი ხომ უნდა გააკეთოს მოქანდაკემ! მათ ასე წარმოედგინათ, რომ მოქანდაკე სადღაც ზის, სხვა აკეთებს ქანდაკებას და მოქანდაკე ეუბნება – ცხვირი აქეთ გასწიე, თვალი – იქეთ.

მინდა შევახსენო მათ, რომ ავტორების მონაწილეობა, ისევე, როგორც ჰონორარის ოდენობა, ხარჯთაღრიცხვის რაობის განმარტების კონტექსტშია დაფიქსირებული და უშუალო კავშირში არ არის სატენდერო დოკუმენტაციასთან. მოქმედ ავტორთა მონაწილეობა ტენდერში ელემენტარულ ლოგიკას ეწინააღმდეგება. კონსტანტინე გამსახურდიას ძეგლის ავტორობა მოპოვებულია კონკურსში გამარჯვებით. სამუშაო დაწყებული იქნა საავტორო პროექტის შესაბამისად, რაც ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო შეფერხდა წლების განმავლობაში. ამდენად მისი სრულყოფილად პირველად, საპროექტო სახით დამთავრება ავტორთა პრეროგატივაა. ამ ანსამბლის დამთავრებისათვის აუცილებელია სხვადასხვა დარგის სპეციალისტთა მონაწილეობა, რაც უნდა შეირჩეს ტენდერის საფუძველზე, ისევ ავტორებთან შეთანხმებით.

გაუპატიურების საქმეზე დაკავებულებს პატიმრობა შეეფარდათ

გაუპატიურების საქმეზე დაკავებული ცხრა პირისთვის აღმკვეთი ღონისძიების შეფარდებასთან დაკავშირებით, თბილისის საქალაქო სასამართლო განცხადებას ავრცელებს, რომელსაც „ნიუსპრესი“ უცვლელად გთავაზობთ:

„თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 21 ივნისის განჩინებით, დაკმაყოფილდა პროკურატურის შუამდგომლობა ცხრა ბრალდებულის (გურამ ჭითანავას, მარლეს ხვიტიას, ირაკლი ახალაიას, გოჩა შონიას, გიორგი ბულიას, პაატა ქირიას, კობა თოდუას, რუსლან შამახიას და თემურ უბირიას) მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების თაობაზე.

ბრალდებულმა პაატა ქირიამ უარი განაცხადა პროცესში მონაწილეობის მიღებაზე, რის გამოც შუამდგომლობის განხილვა ქირიას დაუსწრებლად, მისი ადვოკატის მონაწილეობით წარიმართა. ბრალდების მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, სასამართლომ, პროცესის მონაწილეთა პირადი საიდუმლოების დაცვის მიზნით, სხდომის დახურვის გადაწყვეტილება მიიღო. წარდგენილი ბრალდების თანახმად, ყველა ბრალდებულს ბრალად ედება თავისუფლების უკანონო აღკვეთა, ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით და ძალადობის გამოყენების მუქარით. გარდა ამისა, მათ ბრალად ედებათ წამება, ჩადენილი მოხელის მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით და ორგანიზებული ჯგუფის მიერ.

აღკვეთის ღონისძიების კონკრეტული სახის შერჩევისას, სასამართლომ მიიჩნია, რომ არსებობს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების როგორც ფორმალური, ასევე ფაქტობრივი საფუძვლები, მხედველობაში მიიღო ის გარემოებები, რომ: ბრალდებულებს ბრალად ედებათ განზრახი, განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულთა ჩადენა, რისთვისაც სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა ხანგრძლივი ვადით, შესაბამისად, მოსალოდნელი მკაცრი სასჯელის შიშით შესაძლოა ბრალდებულებმა თავი აარიდონ პროცესის მწარმოებელ ორგანოში გამოცხადებას. სასამართლოს მიერ მხედველობაში იქნა მიღებული, ასევე ბრალად შერაცხული ქმედების საზოგადოებრივი საშიშროების მაღალი ხარისხი და მიიჩნია, რომ ბრალდებულების თავისუფლებაში ყოფნის შემთხვევაში არსებობს პროცესის მონაწილეებზე ზემოქმედებისა და მტკიცებულებების განადგურების საფრთხე, რაც ხელს შეუშლის საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას“ – ნათქვამია საქალაქო სასამართლოს განცხადებაში. აღნიშნულ საქმეზე წინასასამართლო სხდომა 2013 წლის 13 აგვისტოს გაიმართება.

მედიანიუსი

ნინო ბურჯანაძე: „დარწმუნებული ვარ, დანაშაულის კვალი სწორედ მიხეილ სააკაშვილამდე მივა“

პოლიტიკური პარტია „დემოკრატიული მოძრაობა ერთიანი საქართველოს“ ლიდერი ნინო ბურჯანაძე, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ვიდეომასალის აღმოჩენის ფაქტს ეხმაურება და აცხადებს, რომ უნდა დაისაჯონ არა მხოლოდ ისინი, ვინც აღნიშნულ ფირებზე აღბეჭდილ დანაშაულებრივ დავალებებს ასრულებდა, არამედ ისინი, ვინც აღნიშნული სისტემის სულისჩამდგმელი და ორგანიზატორები არიან. მანვე საზოგადოებას აქტიურობისკენ მოუწოდა, რათა „ნაციონალური მოძრაობა,“ როგორც პოლიტიკური ორგანიზაცია აიკრძალოს.

„ისევე როგორც საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა, შეძრწუნებული ვარ, გუშინდელი შეხვედრიდან მიღებული ინფორმაციით. კამათი იმის შესახებ, არის თუ არა ის სისტემური დანაშაული, რის შესახებაც ჩვენ კიდევ ერთხელ მოვისმინეთ, უბრალოდ საზოგადოების შეურაცხყოფა და საზოგადოების შეცდომაში შეყვანაა. ქართულმა საზოგადოებამ არაერთგზის ნახა მაგალითი და ხშირად თავის თავზეც იწვნია, ისეთი ქმედებები რომელიც ადასტურებს იმას, რომ სწორედ სისტემურ დანაშაულთან გვაქვს საქმე. ფაქტია, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ დანაშაულებრივ ორგანიზაციას წარმოადგენს. დიახ ეს არის დანაშაულებრივი ორგანიზაცია, რომელმაც ჩვენი ქვეყნის და ჩვენი საზოგადოების უამრავი მოქალაქის წინააღმდეგ ძალიან ბევრი დანაშაული ჩაიდინა. ეს ორგანიზაცია უნდა აიკრძალოს და დადგეს საკითხი ამ ორგანიზაციის პოლიტიკური და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ.

ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ გასამართლდნენ არა მხოლოდ ის ადამიანები, რომლებიც დანაშაულებრივ ბრძანებებს ასრულებდნენ, არამედ უპირველეს ყოვლისა, გამოძიება უნდა ჩატარდეს სრულყოფილად და უნდა დაისაჯონ სწორედ ის ადამიანები, რომლებმაც ეს დანაშაულებრივი ვერტიკალი შექმნეს, რომლებიც იყვნენ ორგანიზატორნი ამ დანაშაულობებისა და დანაშაულებრივი სისტემისა.

უნდა დაისაჯონ ის ადამიანები, რომლებმაც იდეოლოგიური საფუძველი შეუქმნეს დანაშაულებრივ სისტემას და შემდეგ ეს სისტემა შექმნეს და აამუშავეს. გამოძიების შედეგად უნდა დაისაჯოს ის ადამიანები, ვინც ამ სისტემას ხელმძღვანელობდნენ და უპირველეს ყოვლისა მე დარწმუნებული ვარ რომ დანაშაულის კვალი სწორედ მიხეილ სააკაშვილამდე და მის უახლოეს გარემოცვამდე მივა.

„ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერებს, რომლებიც დღესაც ცდილობენ, გაამართლონ ამ დანაშაულებრივი ვერტიკალის არსებობა, ან, ორ-სამ ერთეულ შემთხვევას გადააბრალონ ის რაც სისტემაში ხდებოდა, – უნდა დაეკისროთ პოლიტიკური პასუხისმგებლობა და მათ, როგორც მინიმუმ გარკვეული პერიოდის განმავლობაში პოლიტიკური საქმიანობა უნდა აეკრძალოთ.

„დემოკრატიული მოძრაობა“ ახალი ხელისუფლებისაგან მოითხოვს, რომ გამოძიების პროცესი ყველა დანაშაულებრივ ქმედებასთან და ფაქტთან დაკავშირებით ბოლომდე მივიდეს და დანაშაულებრივი კოაბიტაცია დასრულდეს. უმნიშვნელოვანესია, რომ ყველა საქმის გამოძიების შედეგად დადგეს დამნაშავე პირების პასუხისმგებლობის საკითხი და დაიწყოს სამართლიანობის აღდგენის რეალური პროცესი. ეს, ჩვენი და ჩვენი პარტიის კი არა, მთელი საზოგადოების, სრულიად საქართველოს მოთხოვნაა. ჩვენი პარტია, თითოეული ჩვენგანი კატეგორიულად ვაცხადებთ, რომ დანაშაულებრივი კოაბიტაციის ნაცვლად უნდა დაიწოს ქვეყნის დენაციფიკაციის ანუ „ნაციონალური მოძრაობისაგან“ გათავისუფლების პროცესი.

ჩვენ მივმართავთ საზოგადოებას, რომ იმისათვის, რათა დასრულდეს დანაშაულებრივი კოჰაბიტაცია და დენაციფიკაციის პროცესი დაიწყოს, ერთობლივად და აქტიურად ვიმოქმედოთ. მივმართავთ საზოგადოებას, რომ დავიწყოთ ხელმოწერების შეგროვება დენაციფიკაციის პროცესთან და „ნაციონალური მოძრაობის“ აკრძალვასთან დაკავშირებით. ჩვენი პარტია, დენაციფიკაციის რეალურად უზრუნველყოფისა და ხორცშესხმისათვის აქტიურ მოქმედებებს და აქტიურ პროცესს იწყებს. ეს აუცილებელია იმისთვის, რომ ქვეყანაში არასდროს აღარ შეიქმნას მსგავსი მახინჯი სისტემები და აღარასდროს აღარ მოხდეს ის, რისი მოწმენიც ჩვენ ახლა ვართ. არცერთი დამნაშავე არ უნდა დარჩეს დაუსჯელი და უპირველეს ყოვლისა, კიდე ვიმეორებ, დაუსჯელი არ უნდა დარჩეს სისტემის სულის ჩამდგმელი, იდეოლოგი და ორგანიზატორი“ – განაცხადა ნინო ბურჯანაძემ

ნიუსპრესი

ავთანდილ ვარსიმაშვილი: „დიახაც, გჯობივართ!“

ეკა ირემაშვილი

თავისუფალი თეატრის დამაარსებელი და გრიბოედოვის თეატრის ხელმძღვანელი ავთანდილ ვარსიმაშვილი აქტიური საგასტროლო ცხოვრებით ცხოვრობს. რეჟისორი ორივე თეატრის დასთან ერთად გასტროლიდან გასტროლზე დადის და წარმატებებსაც აღწევს. ჯერ იყო და თავისუფალმა თეატრმა მორიგი დაბადების დღე გრანდიოზულად იზეიმა, შემდეგ კი საგასტროლო ფერხულშიც ჩაერთო. თავისუფალი თეატრი იმყოფებოდა გასტროლზე ერევანში საერთაშორისო მონოსპექტაკლების ფესტივალზე, სადაც წარადგინა ვანო ხუციშვილის მიერ დადგმული მონოსპექტაკლი „საძაღლე“, რომელიც ნინო სადღობელაშვილის პიესის მიხედვით დაიდგა. სპექტაკლის მხატვარი თეო კუხიანიძეა და მასში სლავა ნათენაძე მონაწილეობს.

თავისუფალი თეატრი ჩაერთო თურქეთში გამართულ საერთაშორისო ფესტივალშიც, სადაც ითამაშა ავთო ვარსიმაშვილის სპექტაკლი „მშვენიერი ქართველი ქალი“, ის რეჟისორმა კარლო გოლდონის პიესის მიხედვით დადგა, მხატვარია მირიან შველიძე, კომპოზიტორი – ვახტანგ კახიძე. სპექტაკლში მონაწილეობენ გოგა ბარბაქაძე, თამუნა ნიკოლაძე, სლავა ნათენაძე, აპოლონ კუბლაშვილი, კახა მიქიაშვილი, ჯაბა კილაძე, ქეთა ლორთქიფანიძე, მარიამ ჯოლოგუა და მამუკა მუმლაძე.

თავისუფალი თეატრი მიწვეული იყო ლონდონშიც. ჩელსის თეატრში ავთო ვარსიმაშვილმა წარადგინა რეჟისორ გიორგი შალუტაშვილის სპექტაკლი „სათამაშო პისტოლეტი“, რომელიც პირველი ქართულ-ინგლისურენოვანი წარმოდგენაა. პიესის ავტორია თამარ ბართაია, მხატვარი – მირიან შველიძე, კომპოზიტორი – ლექსო ტურიაშვილი. მთავარ როლებში ანი ალადაშვილი და გიორგი აბაშიძე არიან. ავთო ვარსიმაშვილის თქმით, ყველა გასტროლი თავისუფალი თეატრისთვის საკმაოდ წარმატებული იყო და თეატრი საგასტროლო ტურნეს მომავალშიც გააგრძელებს.

ამდენი საგასტროლო გრაფიკის მიუხედავად, ავთო ვარსიმაშვილი და მისი „ვარს სტუდიო“ იღებს ახალ ფილმს „სახლი, რომელიც ფანჯრიდან გაიპარა ანუ უფრო დიდი იდიოტოკრატია“. ფილმის გადაღებები გასული წლის ზაფხულში დაიწყო, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო შეფერხდა. ამჯერად ფილმის გადაღებები დასრულებულია. მასში მონაწილეობენ თავისუფალი თეატრის მსახიობები, თავად ავთო ვარსიმაშვილი და ნინო ანანიაშვილი და ნინო ქათამაძე.

ავთო ვარსიმაშვილი:

– თავისუფალი თეატრს წელს საგასტროლო წელი აქვს საკმაოდ დიდი, თუმცა არასდროს აკლდა. წლევანდელი წელი ნამდვილად იქნება გამონაკლისი, იმიტომ რომ ამდენი რაოდენობით გასტროლი, რაც ჩვენ უკვე გვაქვს არასდროს გვქონია. ჩვენ უკვე ვიყავით ერევნის საერთაშორისო ფესტივალზე, სადაც წარმოდგენილი გვქონდა სპექტაკლი „საძაღლე“ და შესანიშნავად ჩაიარა. ეს არის ვანო ხუციშვილის სპექტაკლი, სლავა ნათენაძის მონაწილეობით, ერევანში ტარდებოდა მონოსპექატკლების საერთაშორისო ფესტივალი, სადაც საკმაოდ ღირსეულად წარვსდექით. ამას მოყვა ჩვენი შემდეგი გასტროლი ჯერ თურქეთის საერთაშორისო ფესტივალზე, სადაც 14 ქვეყანა ღებულობდა მონაწილეობას. თურქეთში ჩვენ ვითამაშეთ სპექტაკლი „მშვენიერი ქართველი ქალი“, ამავე სპექტაკლით გადავინაცვლეთ სრულიად სხვა ქალაქში და სრულიად სხვა ფესტივალზე, ეს იყო საკმაოდ პრესტიჟული ფესტივალი, თანაც უფრო დიდი, დაახლოებით 18 ქვეყანა ღებულობდა მონაწილეობას და ვფიქრობ, ძალიან კარგად და ღირსეულად წარვსდექით. ამის შემდეგ გველოდებოდა ფინეთის ფესტივალი „თეთრი და შავი“, ფესტივალი, რომელიც ორ ქალაქში ტარდება. ჩვენ იქ გვქონდა წაღებული „კავკასიური ცარცის წრე“ და მინდა ვუთხრა თავისუფალი თეატრის გულშემატკივრებს, რომ ჩვენ გვხვდა პატივი ფესტივალის გახსნისა, ჩვენი სპექტაკლით გაიხსნა ეს ფესტივალი, რომელზეც ჩადის პრაქტიკულად მთელი სკანდინავია, ეს არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი თეატრალური ფესტივალი სკანდინავიის რეგიონში. იქ უკვე 25-მდე ქვეყანა ღებულობს მონაწილეობას ამ ფესტივალში და საკმაოდ სერიოზული ქვეყნები და კოლექტივები. იმის გამო, რომ ჩვენ შარშან წარვსდექით კარგად და დიდი მოწონება და პრესა გვქონდა, წელს ორგანიზატორებმა გადაწყვიტეს, რომ ჩვენით გახსნილიყო ეს ფესტივალი და ძალიან გველოდნენ. ეს აისახებოდა ყველაფერზე, თავისთავად ის ფაქტი, რომ ჩვენით ისხნებოდა ფესტივალი, ძალიან მნიშვნელოვანია და ყველა, ვინც ოდნავ მაინც ჩახედულია თეატრის საკითხებში, იცის რომ ეს დიდი პატივია ნებისმიერი თეატრისთვის. ამ პატივს მიაგებენ იმ კოლექტივებს, ვინც ყველაზე კარგია. დიდი წარმატება და დაინტერესება გვქონდა, უამრავი სხვა ფესტივალების და პროდიუსერების მიერ მოხდა დაინტერესდება, ჩვენთან წინასწარ გააფორმეს ხელშეკრულებები, მაგრამ ნამდვილად არ დავიწყებ ჩამოთვლას, რადგან როცა განვახორციელებთ ამ გასტროლებს, ისედაც გაიგებთ. ამ გასტროლებიდან რომ ჩამოვედით, რამდენიმე დღეში გავემგზავრეთ ლონდონში, სადაც ჩელსის თეატრში ვითამაშეთ სპექტაკლი „სათამაშო პისტოლეტი“, რომელიც გიორგი შალუტაშვილის მიერ არის დადგმული. ჩელსის თეატრი საკმაოდ პრეტიჟული თეატრია ლონდონში, ვინც ოდნავ მაინც იცის ლონდონული თეატრის ცხოვრება, იცის, რომ ეს თეატრი არის ლონდონის ისტორიულ ნაწილში. ვინერვიულეთ ძალიან, მაინც ლონდონია და მას თავისი თეატრალური ტრადიციები აქვს.

– კიდევ სად აპირებთ გამგზავრებას?

– ჩვენ ასევე გველოდება ძალიან საინტერესო ტურნე მსოფლიო მნიშვნელობის კურორტ ბოდრუმში. მათ გადაწყვიტეს ზაფხულის პერიოდში, როცა დამსვენებლების პიკია, ხელოვნების ფესტივალის ჩატარება, სადაც ნაჩვენები იქნება ჩემი სპექტაკლები და ფილმები, ასეთი ეგიდით იქნება „ავთო ვარსიმაშვილის საავტორო კვირეული“. მათ მთხოვეს, რომ ვუჩვენო როგორც ქართული სპექტაკლები, ასევე რუსულენოვანი სპექტაკლები, ამიტომ წავიღებ თავისუფალი თეატრის ორ სპექტაკლს „კავკასიური ცარცის წრე“ და „მექანიკური ფორთოხალი“ და გრიბოედოვის თეატრიდან წავიღებთ სპექტაკლს „გეტო“. „გეტო“ ისეთია, რომ ყველგან კარგად გებულობენ. პლუს იქნება ჩემი ოთხი ფილმის ჩვენება, ეს არის „ყველაფერი კარგად იქნება“, „იდიოტოკრატია“, „მიდი ძმაო, მიდი“ და „ისპაჰან ბათუმი“. ჩემთვის ეს იქნება არ დავმალავ, თან დასვენება, თან მუშაობა. ჩვენს მსახიობებს ექნებათ შეხვედრები, ამ ფილმებშიც ჩვენი თეატრის მსახიობები მონაწილეობენ და შეხვდებიან მაყურებელს.

– ყველგან ასეთი ცნობილია თავისუფალი თეატრი, ამდენ გასტროლზე რომ იწვევენ, თუ ეს თქვენი პირადი პლუსია?

– პირადი პლუსი შეიძლება ჰქონდეს ადამიანს, მაგრამ ამდენს მაინც ვერ ივლი და არ წაგიყვანენ, იმიტომ რომ ასე არ ხდება. შეიძლება ერთხელ წაგიყვანონ, ორჯერ, მაგრამ ოთხჯერ და ათჯერ არ წაგიყვანენ.

– რაღაც თქვენი საიდუმლო გაქვთ?

– მთავარი საიდუმლო თავად ქართული თეატრია. ქართული თეატრი მართლა ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესოა, ამას ვამბობ მათ გასაგონად, ვინც ხანდახან სკეპტიკურად წამოაძახებს ხოლმე ქართულ თეატრს რაღაცეებს, ქართული თეატრი დღესაც არის თავის სიმაღლეზე, ისევე როგორც 20, 30, 40 და 50 წლის წინ. უბრალოდ დღეს მეტი საშუალებებია გასვლის საზღვარგარეთ. ხმამაღლა მინდა ვთქვა, რომ სახელმწიფო გვეხმარება იმაში, რომ გავიდეს საზღვარგარეთ და მოხდეს პოპულარიზაცია. ამის არდანახვა არ შეიძლება, იმიტომ რომ კარგად მახსოვს და გველის ნაკბენივით მაქვს, როცა 4-5 წლის წინ ჩვენ ამერიკის შეერთებული შტატებიდან გვქონდა მოწვევა და ჩვენ სახელწიფო არ დაგვეხმარა იმაში, რომ წავსულიყავით ამერიკაში და გამოვსულიყავით ნიუ იორკში.

– მიუხედავად იმისა, რომ წინა ხელისუფლების ფათორიტ რეჟისორად იყავით მიჩნეული?

– ეს უკვე მითოლოგიის და იმ ლეგენდის ნაწილია, რომელსაც ხალხი იგონებს. რეალობაში ჩვენ მაშინ სახელმწიფო არ დაგვეხმარა, რომ წავსულიყავთით ამერიკაში. ჩვენ რომ მაშინ წავსულიყავით, ქვეყნისთვის იქნებოდა პირველ რიგში ძალიან მნიშვნელოვანი. რაც იყო, იყო. წელს უკვე გაცილებით უკეთ და კომფორტულად ვგრძნობთ თავს, დავდივართ, გვაქვს მოწვევები და სახელმწიფო გვეხმარება.

– ახალ მთავრობას გულისხმობთ?

– კი, აბა წელს რომელი ხელისუფლებაა?

– ასეთი პატარა თეატრისთვის ბევრი არ არის ამდენი გასტროლი?

– ვფიქრობ, რომ დიდი თეატრისთვისაც კი ბევრია ამდენი გასტროლი. ამის გარდა, ჩვენ სექტემბერში, ოქტომბერში და ნოემბერში გვაქვს საკმოად მნიშვნელოვანი გასვლები. ჩვენ წლის ბოლომდე სულ ცოტა კიდევ 4 საგასტროლო გასვლა გველოდება.

– გრიბოედოვის თეატრი ჩავიდა რუსეთში, რატომ?

– გრიბოედოვის თეატრი იმყოფებოდა სანკტ პეტერბურგში, სადაც ვუჩვენეთ ჩემი სპექტაკლი „ცხენის ისტორია“, ესეც მნიშვნელოვანი იყო ჩვენთვის და ჩვენი ქვეყნისთვის, იმიტომ რომ პეტერბურგელებისათვის „ცხენის ისტორია“ ცოტა სხვა რამეს ნიშნავს. მათთვის ეს ასოცირდება ტოვსტონოგოვთან. ჩვენი სპექტაკლი იყო ერთადერთი სპექტაკლი მთელს ფესტივალზე, რომელზეც ყველა ბილეთი წინასწარ იყო გაყიდული. ეს არის 700 კაციანი დარბაზი და სულაც არ არის პატარა. ბალტიის სახლის ფესტივალის დარბაზში ყველა მოუთმენლად გველოდა. გარდა იმისა, რომ ქართული თეატრის სპექტაკლებს ყოველთვის დიდი ინტერესით ელიან, განსაკუთრებით რუსეთში, ამას ემატებოდა ის ინტრიგა, რომ ჩვენ ჩავიტანეთ ცხენის ისტორია და აინტერესებდათ სადამდე მივა ქართველების თავხედობა.

– და თქვენი სითავხედით დატოვეთ ყველა პირში ჩალაგამოვლებული?

– კი, ნამდვილად დავტოვეთ, იმიტომ რომ 700 კაციანი დარბაზი ფეხზე ამდგარი ძალიან დიდხანს გვიყვიროდა ბრავოს. აქვე უნდა ვთქვა ერთი საინტერესო ფაქტი, მეც კი არ მახსოვს არათუ ჩემს სპექტაკლზე, არამედ სხვა სპექტაკლებზეც ამდენი რეჟისორი მისულიყოს. მასიური დასწრება იყო, თან საკმაოდ ცნობილი რეჟისორების, ისეთების როგორებიც არიან კამა გინკასი, რომან ვიტიუკი, იონას ვაიტკუსი, ეს მსოფლიოს სახელებია და ისინი ერთად გარწმუნებთ შემთხვევით არ დადიან სპექტაკლების სანახავად. ასეთი რამ პრაქტიკულად არ ხდება.

– თქვენმა სითავხედემ მოიტანა ის შედეგი?

– პირველ რიგში ის, რომ მოვიდა ამდენი რეჟისორი და დაესწრო ჩვენს სპექტაკლს. ვიღაცას ძალიან მოეწონა, ვიღაცას რა თქმა უნდა, არ მეოწონა. ყველას მოსაწონი ვერ იქნები. მით უმეტეს, როცა ასეთ მაყურებელთან გაქვს საქმე. ამ მხრივ ძალიან კარგი იყო ეს ფესტივალი. ჩვენ იქვე მივიღეთ მიწვევები სხვადსხვა ფესტივალბზე. პირველ სექტემბერს მივდივართ ოდესის ფესტივალზე ისევ და ისევ სახელმწიფოს დახმარებით, სხვაგვარად გაგვიჭირდება წასვლა, რადგან სპექტაკლი დიდია. ამას ემატება მოსკოვის ფესტივალის მოწვევა და ვილნიუსის ფესტივალის მოწვევა.

– გამოდის, ნელ-ნელა რუსეთს ვუბრუნდებით.

– ჩვენ ყოველთვის კარგად გვღებულობდნენ და მოდით, ვიყოთ გულწრფელები, ჩვენ არასოდეს შეგვიწყვეტია იქ სიარული.

– ქართული საზოგადოებისგან აგრესია იგრძენით?

– ეს აბსოლუტური სისულელე მგონია, იმიტომ რომ ამ ფესტივალებზე რომ ჩადიხარ და უმტკიცებ ყველას, რომ დიახაც, გჯობივართ, ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ. დიახაც, მე შენზე არანაკლები ვარ და დიახაც, ჩვენ ეგეთი მაგრები ვართ და ეგეთი თეატრი გვაქვს. ეს შეგრძნება ყოველთვის მქონდა, ეს შეგრძნება მახარებდა და ეს შეგრძნება მასულდგმულებდა და ამ შეგრძნებას მივყვადი ამ გასტროლებზე. ყოველთვის ამ სიამაყის გრძნობით დავდიოდი, არავის ვართობდი, პირიქით, ვფიქრობ, მტრები იბოღმებოდნენ. გარდა ამისა, გრიბოედოვის თეატრი სხვა, მეორე გასტროლზეც იმყოფებოდა სპექტაკლით „მოკალი მამაკაცი“ უკრაინაში. ძალიან დიდი წარმატება ჰქონდათ მათ გასტროლლდებს, სამწუხაროდ, ფიზიკურად ვერ მოვახერხე ჩასვლა. განსაკუთრებით დიდი მოწონება დაიმსახურა მსახიობმა ირინა მეღვინეთუხუცესმა, მომივიდა კიდეც რეცენზიები.

– ასეთი გადატვირთული საგასტროლო გრაფიკის მიუხედავად, ახალ სპექტაკლებზეც მუშაობთ?

– კი, ახალ სპექტაკლებზეც ვმუშაობ და პარალელურად, ახალ ფილმზეც ვმუშაობ. გადაღებები უკვე დასრულებულია, მონტაჟიც მიმდინარეობს და მისი პრემიერა შემოდგომაზეა დაგეგმილი.

– თქვენს მიერ დაანონსებულ მარკესის „მარტოობის ას წელს“ აღარ დადგამთ?

– არა, მარტოობის ასი წელი ჩაბარდა წარსულს ნიკო გომელაურის გარდაცვალების გამო.

– რას დადგამთ ახალს?

– არ დავმალავ, ჯერჯერობით ველოდები თანხებს, რომ დავდგა შექსპირის „კორეოლანოსი“. თუ მექნება თანხები, დავდგამ და თუ არ მეტქნება, ვერ დავდგამ, იმიტომ რომ შექსპირის დადგმას საკმაოდ სერიოზული თანხები სჭირდება. ამ სპექტაკლის დადგამს თავისუფალ თეატრში ვაპირებ.

– რაც შეეხება გრიბოედოვის თეატრს?

– გრიბოედოვის თეატრში ახლა ვმუშაობ მაიაკოვსკის იუბილეზე, იმიტომ რომ ჩვენ ყოველთვის გვქონდა ტრადიცია, რომ ყველა დიდი რუსი ხელოვანი, ვინც იყო დაკავშირებული საქართველოსთან, აღგვენიშნა მისი თარიღები და გაგვეწია პროპაგანდა. ამჯერად ჩვენ ვაკეთებთ მაიაკოვსკის იუბილეს და ამ იუბილეს ვეხმიანებით სპექტაკლით სახელწოდებით „ღრუბლები შარვალში“. ეს თავად მაიკოვსკის ფრაზაა. 13 ივლისს მაიკოსვსკის დაბადების დღეს ჩვენ ამ სპექტაკლის პრემიერას ვითამაშებთ ქუთაისის თეატრში, იმ მხარეში, სადაც დაიბადა ვლადიმერ მაიაკოვსკი, ამას სპეციალურად ვაკეთებთ, ამ პერიოდში ჩატარდება საერთაშორისო ფესტივალი რუსულენოვანი პოეტების მონაწილეობით. ეს ფესტივალი ტრადიციულია და ყოველ წელს ტარდება. დაახლოებით 10 წელია ტარდება. ჩვენ წელს მონაწილეობას მივიღებთ ამ ფესტივალში პრემიერით და პატივს მივაგებთ ჩემის აზრით თავიდან ფეხის ტერფამდე ქართველ პოეტს, უბრალოდ რუსულენოვან ქართველ პოეტს ვლადიმერ მაიაკოვსკის. მის პოეზიას ძალიან კარგად ვიცნობ და მასზე აშკარად დიდი გავლენა იქონია შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანმა“. მასში ნამდვილად არის ქართული სული, თუნდაც რითმების აწყობაში, ტემპში, მელოდიკაში ვხედავ ქართული სულის ნაკვალევს და ამიტომ ის ჩემთვის გაცილებით უფრო ძვირფასია, ვიდრე უბრალოდ ჩვეულებრივი რუსი პოეტი.

– თქვენი ახალი ფილმის შესახებაც გვიამბეთ.

– ფილმის გადაღება დამთავრდა, ტრეილერიც მზად არის, გამოვა ფილმი ტრადიციულად ოქტომბერში და ეს იქნება ძალიან სააცილო ფილმი.

– ისევ უნდა ვიცინოთ?

– რა თქმა უნდა, ვიცინოთ, ვიცინოთ, ვიცინოთ და საკუთარ თავს დავცინოთ, თუმცა მგონია, რომ ეს კიდევ უფრო მეტად დასაფიქრებელი ფილმია, ვიდრე წინა ჩემი ფილმები.

– გუნდი იგივეა?

– დიახ, გუნდი იგივეა, გუნდს არ ვცვლი. თავისუფალი თეატრის მსახიობებთან ერთად, ფილმში მონაწილეობას მიიღებენ ნინო ანანიაშვილი და ნინო ქათამაძე.

– რა ჰქვია თქვენს ახალ ფილმს?

– ფილმს ჰქვია „სახლი, რომელიც ფანჯრიდან გაიპარა“. ეს არის კიდევ უფრო დიდი იდიოტოკრატია.

მილოცვა

სიკეთითა და საუკეთესო პიროვნული თვისებებით, კაცურკაცობით გამორჩეულ დიდებულ მოქალაქეს, საქართველოს დამსახურებულ მშენებელს, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ლაურეატს, სხვადასხვა სახელმწიფო ჯილდოებით დაჯილდოვებულ ჩვენს კოლეგასა და მეგობარს, ბატონ

მიხეილ ხვედაგიანს 70 წლის შეესრულდა.

ვულოცავთ მას და მის შესანიშნავ ოჯახს!

უამრავი სასიქადულო საქმე, რომლებიც მხოლოდ სამშობლოს აღმშენებლობას მიუძღვნა, დაიწყო ძალზე ადრეულ ახალგაზრდობაში, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, 1968 წლიდან და მშენებლობისა და სასოფლო მშენებლობის სამინისტროების ეგიდით განვლო მთლიანი იერარქიული გზა ათისთავიდან სამშენებლო სამმართველოს უფროსობამდე, ტრესტის მმართველობამდე და შემდეგ მომსახურების რესპულიკურ კონცერნ „საქსერვისის“ პრეზიდენტობამდე.

გამორჩეულია მისი პრინციპულობა და დამსახურებები, როგორც მუდმივმოქმედი სამთავრობო კომისიის წევრის, სხვადასხვა, როგორც სამრეწველო, ისე საცხოვრებელი კომპლექსების, უდაბნოს აღორძინების, აჭარის, საჩხერისა და რაჭის რეგიონში სტიქიური მოვლენების სალიკვიდაციო სამუშაოების ჩატარებაში. ძალზე დიდია მის მიერ ცხინვალის რეგიონში გაწეული საქმიანობის დამსახურება კონფლიქტის პერიოდში ქართველი და ოსი ხალხის პრობლემების შემსუბუქებაში.

ამჟამად ბატონი მიხეილი ახალგაზრდული შემართებით კვლავ ქვეყნის სამსახურშია და საქართველოს მოსახლეობის მომსახურებისა და ინდბინათმშენებლობის საკოორდინაციო საბჭოს ხელმძღვანელია.

ჯანმრთელობასა და დიდხანს სიცოცხლეს ვუსურვებთ ჩვენს ძმასა და კოლეგას!

ერთი ამდენი ცხოვრება გამართულად გაგეკლოს! შენს უამრავ სამეგობროსა და შესანიშნავ ოჯახთან ერთად!

სიყვარულითა და პატივისცემით მეგობრები და კოლეგები:

თეიმურაზ ანდრიაძე, ვახტანგ ცაგარეიშვილი, რეზო სვანიშვილი, კოტე მხეიძე, ჯუნა მხეიძე, თამაზ სარალიძე, ნოშრევან სიგუა, დათო გურგენიძე, ვახტანგ კაჭარავა, თემურ კოპალეიშვილი, თამაზ არდიშვილი, იურა შიუკაშვილი, ნოდარ ლომიძე, გურამ ბერუჩაშვილი, მიხეილ ჩაჩანიძე

ევროპა ციფრებში

ესპანეთი

პრიმერა დივიზიონის 2012-2013 წლების სეზონში, „ბარსელონამ“ 100 ქულა დააგროვა, სატურნირო ცხრილში პირველი ადგილი დაიკავა და ჩემპიონის ტიტული დაიბრუნა.

უეფას ჩემპიონთა ლიგაში თამაშის უფლება მოიპოვეს „ბარსელონამ“, „რეალმა“, „ატლეტიკომ“ და „სოსიედადმა“. ელიტიდან დაქვეითდნენ და მომდევნო სეზონში სეგუნდა დივიზიონში იასპარეზებენ: „მალიორკა“, „დეპორტივო“, „სარაგოსა“.

ცხრილი ჩვენი მკითხველისთვის ისედაც ნაცნობი უნდა იყოს. ახლა გვინდა, რამდენიმე საინტერესო ფაქტზე გესაუბროთ.

რეკორდები

ყველაზე დიდი ანგარიშით საშინაო მატჩი მადრიდის „ატლეტიკომ“ იმარჯვა, რომელმაც 6:0 დაამარცხა „დეპორტივო“;

სტუმრად ყველაზე დიდი ანგარიში 3 მატჩში დაფიქსირდა, აქედან ორჯერ მადრიდის „რეალის“ მონაწილეობით. „სამეფო კლუბმა 5:0 „მალიორკა“ და „ვალენსია“ დაამარცხა. ამავე ანგარიშით „ბარსელონამ“ „რაიო ვალეკანოს“ მოუგო;

ყველაზე უხვგოლიანი მატჩი „დეპორტივოსა“ და „ბარსელონას“ შორის დაფიქსირდა – 4:5;

ყველაზე სწრაფი გოლი ხოსე რეიესმა მე-13 წამზე გაიტანა სევილია-ბეტისის (5:1) დაპირისპირებაში;

ყველაზე გვიანი გოლი კი, რობერტო ტრასორასის (94-ე წუთი და მე-3 წამი) ეკუთვნის და ამ გოლით „რაიო ვალიეკანომ“ „გრანადა“ 1:0 დაამარცხა;

„მალაგას“ ფეხბურთელი ფაბრის ოლინგა ყველაზე ახალგაზრდა – 16 წლისა და 98 დღის იყო, როდესაც პრიმერას გასულ სეზონში გოლით გამოიჩინა თავი. მისი დებიუტი 2012 წლის 18 აგვისტოს, „სელტასთან“ მატჩში შედგა. ოლინგა თამაშში 58-ე წუთზე ჩაერთო და 84-ე წუთზე გოლის ავტორიც გახდა;

2013 წლის 13 იანვარს პრიმერა დივიზიონის პირველი წრე დასრულდა, სადაც „ბარსელონამ“ 57 შესაძლო ქულიდან 55 დააგროვა. კატალონიელებს 18 მოგება და ერთი ფრე ჰქონდათ, რაც რეკორდული მაჩვენებელი გახლავთ;

2013 წლის 2 თებერვალს, „გრანადასთან“ მატჩში, „რეალის“ ვარსკვლავი კრიშტიანუ რონალდუ პირველი ფეხბურთელი გახდა, რომელმაც ლა ლიგის ისტორიაში ყველა გუნდის კარში შეძლო გოლის გატანა, მათ შორის, საკუთარ კარშიც;

2013 წლის 30 მარტს, „სელტასთან“ მატჩში, „ბარსელონას“ ფორვარდმა ლიონელ მესიმ პრიმერა დივიზიონის მორიგი რეკორდი დაამყარა – ზედიზედ 19 ტურში შეძლო გოლის გატანა;

გასულ სეზონში, „ბარსელონამ“ ერთი რეკორდი დაამყარა და 3 გაიმეორა: კატალონიელებმა უგოლოდ არც ერთ მატჩში დატოვეს მოედანი. რაც შეეხება გამეორებულ რეკორდებს, ტიტო ვილანოვას გუნდმა 100 ქულა დააგროვა და ყველაზე მეტი – 32 გამარჯვება მოიპოვა (ორივე რეკორდი შარშან „რეალს“ ეკუთვნოდა). გარდა ამისა, გასვლით მატჩებში ყველაზე ნაკლები – 11 გოლი გაუშვა;

მეორედ მოხდა, რომ „ბარსელონაცა“ და „რეალიც“ 100-გოლიან ზღვარს გადაცდნენ. კატალონიელებსა და მადრიდელებს ანალოგიური შედეგი 2011-2012 წლების სეზონშიც ჰქონდათ;

ბომბარდირები: ლიონელ მესი (ბარსელონა) – 46 გოლი (4 პენალტით); კრიშტიანუ რონალდუ (რეალი) – 34 (6 პენალტით); რადამელ ფალკაო (ატლეტიკო) – 27 (8 პენალტით);

ჰეთ თრიქი: რადამელ ფალკაო, კრიშტიანუ რონალდუ (3-ჯერ), ლიონელ მესი, ხაბი პრიეტო, ალვარო ნეგრედო, სესკ ფაბრეგასი;

პოკერი: ლიონელ მესი (ბარსელონა-ოსასუნა 5:1);

პენტა თრიქი: რადამელ ფალკაო (ატლეტიკო-დეპორტივო 6:0);

„ზამორას პრიზი“ (გადაეცემა იმ მეკარეს, რომელსაც ყველაზე ნაკლები გოლი აქვს გაშვებული) – ტიბო კურტუა (ატლეტიკო) – 26 გოლი 34 მატჩში (საშუალოდ 0.76);

ყვითელი ბარათები

ყველაზე მეტი – „ესპანიოლი“ (121);

ყველაზე ნაკლები – „ბარსელონა“ (51);

წითელი ბარათები

ყველაზე მეტი – „სევილია“, „ხეტაფე“ (ორივე 5-5);

არავინ გაუძევებიათ – „ბარსელონა“, „ვალიადოლიდი“, „სოსიედადი“, „ატლეტიკო“, „სელტა“.

სხვა ფაქტები

„რაიო ვალიეკანოსა“ და „რეალის“ მატჩის წინ გულშემატკივართა ჯგუფმა სტადიონზე ელექტროკაბელები გადაჭრა, რის გამოც მატჩი გადაიდო;

მთელი სეზონის განმავლობაში „ბარსელონას“ ლიდერობა არ დაუთმია;

სიმბოლური ნაკრები

მეკარე: ტიბო კურტუა (ატლეტიკო);

მცველები: კარლოს მარტინესი (სოსიედადი), სერხიო რამოსი (რეალი), ხერარდ პიკე (ბარსელონა), ფელიპე (ატლეტიკო);

ნახევარმცველები: ანდრეს ინიესტა, სერხიო ბუსკეტსი (ორივე ბარსელონა), მესუთ ოზილი, კრიშტიანუ რონალდუ (ორივე რეალი);

თავდამსხმელები: ლიონელ მესი (ბარსელონა), რადამელ ფალკაო (ატლეტიკო).

გერმანია

2012-2013 წლების საფეხბურთო სეზონმა მიუნხენის „ბაიერნის“ ტრიუმფით ჩაიარა. იუპ ჰაინკესის დამოძღვრილმა მიუნხენელებმა 6 ტურით ადრე გაინაღდეს ვერცხლის სინი და „დორტმუნდის“ 2-წლიანი დომინირების შემდეგ ჩემპიონობა დაიბრუნეს.

ჩემპიონთა ლიგის საგზურები მოიპოვეს „ბაიერნმა“, „დორტმუნდმა“, „ლევერკუზენმა“ და „შალკემ“. მომდევნო სეზონიდან მე-2 ბუნდესლიგაში გადაინაცვლეს „ფორტუნამ“ და „ფიურტმა“.

მე-16 ადგილოსანმა „ჰოფენჰაიმმა“ კი, „კაიზერსლაუტერნს“ გადათამაშებაში სძლია და უმაღლეს ლიგაში დარჩენის უფლება მოიპოვა.

ახლა კი ბუნდესლიგის გასული სეზონის საინტერესო მოვლენებზე ვთქვათ...

რეკორდები

მასპინძელი გუნდის ყველაზე დიდი გამარჯვება, ცხადია, „ბაიერნის“ შესრულებით ვიხილეთ, როდესაც 9:2 დაამარცხა „ჰამბურგი“;

სტუმარი გუნდის ყველაზე დიდი გამარჯვებაც „ბაიერნს“ ეკუთვნის, თუმცა აქ უკვე „დორტმუნდიც“ შეუზიარდა. ამასთან, ორივემ ერთნაირი ანგარიშებით მოიგო ორ-ორჯერ. „ბაიერნმა“ „ფორტუნა“ (5:0) და „ჰანოვერი“ (6:1) დაამარცხა, „დორტმუნდმა“ – „ვერდერი“ (5:0) და „ფიურტი“ (6:1);

ყველაზე უხვგოლიანი მატჩი „ბაიერნსა“ და „ჰამბურგს“ შორის შედგა – 9:2;

ყველაზე ხანგრძლივი მოგებათა სერია „ბაიერნს“ ეკუთვნის (14 მატჩი);

„ბაიერნის არის ყველაზე ხანგრძლივი დაუმარცხებელი სერიაც – 25 მატჩი;

ყველაზე ხანგრძლივი წაგებათა სერია „ჰოფენჰაიმმა“ „გამოაცხო“ – 6 მატჩი;

გულშემატკივართა დასწრებით ერთ მატჩში საუკეთესო მაჩვენებელი „დორტმუნდის“ სტადიონზე შედგა – 80.645 მაყურებელი;

გასულ სეზონში „ბაიერნმა“ ერთბაშად რამდენიმე რეკორდი დაამყარა: დააგროვა 91 ქულა, გასვლით მატჩებში მოიპოვა 47 ქულა, მეორეადგილოსანს 25 ქულით გაუსწრო, სულ 29 მატჩი მოიგო, გასვლითი მატჩებში – 15, გატანილ და გაშვებულ გოლებს შორის სხვაობა 80 გოლია, მიუნხენელებმა გასვლით მატჩებში 42 გოლი მიითვალეს.

„ბაიერნმა“ თავისი 2 რეკორდიც გაიმეორა: მთელი სეზონის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ დამარცხდა. გარდა ამისა, „რეკორდმაისტერს“ არც ერთი გასვლითი მატჩი წაუგია. ეს რეკორდები მიუნხენელებმა 1986-1987 წლებშიც დაამყარეს.

ბომბარდირები: შტეფან კისლინგი (ლევერკუზენი) – 25 გოლი (4 პენალტით); რობერტ ლევანდოვსკი (დორტმუნდი) – 24 (1 პენალტით); ალექსანდერ მაიერი (აინტრახტი) – 16 (3 პენალტით);

საგოლე პასები: ფრანკ რიბერი (ბაიერნი) – 14; ტომას მიულერი, ფილიპ ლამი (ორივე ბაიერნი) – 11-11;

ყველაზე ნაკლები გაშვებული გოლი: მანუელ ნოიერი („ბაიერნი“) – 34 მატჩი, 18 ბურთი (საშუალოდ 0,53);

ყვითელი ბარათები

ყველაზე მეტი – „ფორტუნა“ (76);

ყველაზე ნაკლები – „ბაიერნი“ (35);

წითელი ბარათები

ყველაზე მეტი – „შტუტგარტი“ (7);

ყველაზე ნაკლები – „ბაიერნი“ (1), „გლადბახი“ (1);

წლის გუნდი – „ბაიერნი“;

წლის ფეხბურთელი – ფრანკ რიბერი (ბაიერნი);

წლის მწვრთნელი – კრისტიან შტრაიხი (ფრაიბურგი);

წლის მატჩი – ბაიერნი-ჰამბურგი 9:2;

წლის სიურპრიზი – „ჰოფენჰაიმის“ ბუნდესლიგაში დარჩენა;

სიმბოლური ნაკრები

მეკარე: მანუელ ნოიერი (ბაიერნი);

მცველები: ფილიპ ლამი, დანტე, დავიდ ალაბა (ყველა ბაიერნი), მატს ჰუმელსი (დორტმუნდი);

ნახევარმცველები: მარკო როისი, ილქაი გიუნდოგანი (ორივე დორტმუნდი), ბასტიან შვაინშტაიგერი, ფრანკ რიბერი (ორივე ბაიერნი);

თავდამსხმელები: რობერტ ლევანდოვსკი (დორტმუნდი), შტეფან კისლინგი (ლევერკუზენი).

იტალია

სერია ა-ს 2012-13 წლების სეზონის ტრიუმფატორი „იუვენტუსია“, მაგრამ, თუ სტატისტიკას გადავხედავთ, გუნდს გამოკვეთილი ფორვარდი არ ჰყავს და უფრო გუნდურობით გამოირჩეოდნენ.

ტურინელთა გარდა, ჩემპიონთა ლიგის საგზური „ნაპოლიმ“ და „მილანმა“ მოიპოვეს. სერია ა-ს კი, „პალერმო“, „სიენა“ და „პესკარა“ დაემშვიდობნენ.

ბომბარდირები : ედინსონ კავანი (ნაპოლი) – 29 (7 პენალტი); ანტონიო დი ნატალე (უდინეზე) – 23 (4 პენალტი); სტეფან ელ შაარავი (მილანი), პაბლო ოსვალდო (რომა) – 16-16;

საგოლე პასები: მარეკ ჰამშიკი (ნაპოლი) – 14; ფრანჩესკო ტოტი (რომა) – 12; ბორხა ვალერო (ფიორენტინა) – 11;

გოლი პლუს პასი: ედინსონ კავანი (ნაპოლი) – 33 (29 პლუს 4); ანტონიო დი ნატალე (უდინეზე) – 27 (23 პლუს 4); მარეკ ჰამშიკი (ნაპოლი) – 25 (11 პლუს 14);

ყვითელი ბარათები

დანიელე კონტი (კალიარი) – 16; ჰაიმე ვალდესი (პარმა), რაჯა ნაინგოლანი (კალიარი) – 14-14;

წითელი ბარათები

ანდრეა კოსტა (სამპდორია), დანიელე გასტალდელო (სამპდორია), კარლოს კარმონა (ატალანტა), დანილო (უდინეზე), ტომას ერუ (უდინეზე), დავიდ ასტორი (კალიარი), ლუკა როსეტინი (კალიარი), ფილიპე (სიენა), ჯუზეპე ბიავა (ლაციო), კამილ გლიკი (ტორინო), კევინ პრინს ბოატენგი (მილანი), მასიმო ამბროზინი (მილანი), ვლადიმირ ვეისი (პესკარა) – 2-2;

ჯარიმა

გონსალო ბერგესიო (კატანია) – 95; ალბინ ეკდალი (კალიარი), პერპარიმ ჰეტემაი (კიევო) – 85-85;

ჯარიმის გამომუშავება

ალესანდრო დიამანტი (ბოლონია) – 147; პაბლო ბარიენტოსი (კატანია) – 111; ხუან კუადრადო (ფიორენტინა) – 108;

მეკარე (სეივი)

ჯანლუკა პეგოლო (სიენა) – 133; მატია პერინი (პესკარა) – 122; ანდრეა კონსილი (ატალანტა) – 116;

ზუსტი პასი

ანდრეა პირლო (იუვენტუსი) – 2.517; ბორხა ვალერო (ფიორენტინა) – 2.198; რიკარდო მონტოლივო (მილანი) – 2.130;

დარტყმა (სულ)

ედინსონ კავანი (ნაპოლი) – 156; ანტონიო დი ნატალე (უდინეზე), ალესანდრო დიამანტი (ბოლონია)– 132-132;

კარში დარტყმა

ედინსონ კავანი (ნაპოლი) – 70; ანტონიო დი ნატალე (უდინეზე) – 52; ფრანჩესკო ტოტი (რომა), სტეფან ელ შაარავი (მილანი) – 48-48;

საუკეთესო შედეგი საკუთარ მოედანზე

ნაპოლი (46 ქულა), იუვენტუსი (45), ფიორენტინა (43);

უარესი შედეგი საკუთარ მოედანზე

პესკარა (13), ჯენოა, პალერმო (22);

საუკეთესო შედეგი სტუმრად

იუვენტუსი (42), ნაპოლი (32), მილანი (31);

უარესი შედეგი სტუმრად

პესკარა (9), პალერმო (10), სიენა (13);

საუკეთესო შეტევა

ნაპოლი (73 გოლი), ფიორენტინა (72), იუვენტუსი (71);

უარესი შეტევა

პესკარა (27), პალერმო (34), სიენა (36);

საუკეთესო დაცვა

იუვენტუსი (24 გაშვებული ბურთი), ნაპოლი (36), მილანი (39);

უარესი დაცვა

პესკარა (84), ინტერი, სიენა (57);

სიმბოლური ნაკრები:

მეკარე: სამირ ჰანდანოვიჩი (ინტერი);

მცველები: ანდრეა ბარძალი (იუვენტუსი), გონსალო როდრიგესი (ფიორენტინა), უგო კამპანიარო (ნაპოლი);

ნახევარმცველები: ხუან ზუნიგა, მარეკ ჰამშიკი (ორივე ნაპოლი), ბორხა ვალერო, მანუელ პასკუალი (ორივე ფიორენტინა), არტურო ვიდალი (იუვენტუსი);

თავდამსხმელები: ანტონიო დი ნატალე (უდინეზე), ედისონ კავანი (ნაპოლი).

ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

იცხოვრეთ მომავალისთვის.
უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.



საბანკო რეკვიზიტები:

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000

თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)

რატომ არ იძიებენ გატაცებულ გოგინაშვილის საქმეს?!

გულიკო ბალაძე

ინტერვიუ ბათუ საღინაძესთან

ყოფილი პოლიტპატიმარი, პოლკოვნიკი ბათუ საღინაძე ლევან კალაძის გატაცებისა და მკვლელობის საქმის გამოძიების პროცესში წააწყდა ინფორმაციას ასევე გატაცებული გოგინაშვილის თაობაზე.

პატიმარმა მურავიოვმა, რომელიც აფრასიძეებს ჰყავდათ დამხმარედ და იქ ჩატარებული ოპერაციისას დააპატიმრეს, თანამოსაკნეებისთვის შეტანილ ერთ-ერთ ჟურნალში დაბეჭდილი ფოტოთი ამოიცნო გოგინაშვილი და განაცხადა, რომ ის მიყვანილი ჰყავდათ აფრასიძეებთან.

ბათუ საღინაძე აცხადებს, რომ გატაცებული გოგინაშვილის ამჟამინდელ აგილსამყოფელზე მას ციხეში ყოფნისას მიაწოდეს ინფორმაცია, რომელიც, რა თქმა უნდა, გადასამოწმებელია.

ბათუ საღინაძე აცხადებს, რომ სვანეთში აფრასიძეების წინააღმდეგ მისგან მალულად ჩატარდა სპეცოპერაცია და რაც იქ მოხდა, ეს არის კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული.

ამიტომ კაცობრიობის წინააღდეგ ჩადენილი დანაშაულისათვის უნდა გასამართლდეს მიხეილ საკაშვილი, რომელმაც აღიარა, რომ ოპერაციის ჩატარების ბრძანება მან გასცა.

თუ რა ინფორმაცია მიაწოდეს ბათუ საღინაძეს გოგინაშვილის თაობაზე ციხეში ყოფნისას და სად შეიძლება იყოს ახლა გატაცებული გოგინაშვილი, ამას ინტერვიუდან შეიტყობთ.

– ბატონო ბათუ, როგორც კალაძის გატაცების საქმეზე, ასევე გოგინაშვილის საქმეზეც თქვენ განაცხადეთ, რომ გოგინაშვილიც გამტაცებლებმა აფრასიძეებთან მიიყვანეს.

– მაშინ გოგინაშვილზე მქონდა ინფორმაცია, რომ ერთ-ერთმა ამ ჯგუფთან შეხებაში მყოფმა სვანმა ბიჭმა, რომელსაც მამამისთან მოუვიდა რაღაც კონფლიქტი, გოგინაშვილის მოტაცების ორგანიზება მოახდინა, მაგრამ ჯერ ამაზე არავის არაფერს ვეუბნებოდი. რაც უნდა ენდობოდე ადამიანს, ინფორმაცია ყველას თუ უთხარი, არაფერი გამოვა. ჯერ ერთი, ინფორმაციის მოპოვებაა ძალიან ძნელი, ხოლო შემდეგ მისი გადამოწმება.

– ანუ გოგინაშვილიც აფრასიძეებთან ჰყავდათ?

– ასეთი ინფორმაცია მქონდა, რომელიც მერე გამყარდა. საქმეში ვაჟა გავაშელი ჩავრთე, რომელიც „კვირის პალიტრაში“ ბეჭდავდა წერილებს – ჟურნალისტობდა. უკვე მარტია მოსული. ნინო ბურჭულაძეს ვუთხარი, ბევრი მონაწილეა ამ საქმეში, ბევრს უჭირს ამ საქმის გახსნა. ბევრი მონაწილეა სხვა გატაცებებისა და ისინი მე უკანონოდ მისმენენ.

– ანუ ჯერ დაგავალეს საქმის გამოძიება, ხოლო შემდეგ გავიწროვებდნენ.

– დამავალა პრეზიდენტმა. მან რა იცოდა, რა ხდებოდა.

– მერე, რატომ არ დაგიცვათ, ბატონო ბათუ? ფაქტია, რომ არ დაგიცვათ და თქვენს მოწინააღმდეგეებთან შეკრული აღმოჩნდა.

– სხვა, არანაკლებ მძიმე საქმეებში, სააკაშვილი თანამონაწილეობდა ოქრუაშვილთან და დანარჩენებთან. ამიტომ მერე უკვე, როცა ფაქტის წინაშე დააყენეს, ოთხჯერ სთხოვა საკაშვილმა ოქრუაშვილს, საღინაძეს შეეშვიო, მაგრამ ოქრუაშვილმა უთხრა, მე ჩემი საქმე ვიციო. ამას იცით, როდის ეტყვი, როცა უკვე კაცი გავლენის ქვეშ გყავს.

– ბატონო ბათუ, გოგინაშვილის გატაცების ფაქტს რომ არ ავცდეთ, გკითხავთ, საბოლოოდ ეს გოგონა აღარ გამოჩენილა, მისი კვალი დაიკარგა?

– საერთო ინფორმაცია მქონდა, რომ აფრასიძეებთან ჰყავდათ. ამაზე არავის არ ვესაუბრებოდი და შეიძლება არც არავისთვის არაფერი მეკითხა, სანამ არ მოვათავებდი კალაძის საქმის გამოძიებას, მაგრამ როცა მათ ჩემგან მალულად (არავის ჰქონდა ამის უფლება) და ამოწყვიტეს აფრასიძეები, რუსი დაიჭირეს.

ვინც კალაძეებისაგან წაღებული ფული აიტანა, მათ (კვიჟინაძემ და სხვებმა, ვინც იყვნენ) მაშინ მითხრეს, რომ ფულის თვლა აერიათ (ფულის დათვლა ძნელი ყოფილა), ამ დროს ეს რუსი აქეთ-იქით დადიოდა და ხანდახან შემოიხედავდაო. რადგან ფულის თვლა დააფიქსირა მაწანწალა კაცმა, რა თქმა უნდა, ჩემთვის საინტერესო იყო. გარდა ამისა, საინტერესო იყო, საერთოდ, აფრასიძეებთან რომ ცხოვრობდა. თუ რამე იცოდა, კონტაქტში შევიდოდი. თუ შევდიოდი კონტაქტში აფრასიძეებთან, რა თქმა უნდა, მურავიოვთანაც შევიდოდი და, რაც იცოდა, ვათქმევინებდი. ეს არის ჩვენი ხელობა, კაცი უნდა დაანტერესო და სიმართლე ათქმევინო.

– როგორც მახსოვს, მურავიოვმა თქვენს სასამართლო პროცესზე ისაუბრა და დაადასტურა გოგინაშვილის აფრასიძეებთან მიყვანის ამბავი.

– სასამართლოზე მურავიოვმა დაადასტურა გოგინაშილის აფრასიძეებთან მიყვანის ამბავი. მურავიოვის სვანეთიდან ჩამოყვანიდან ერთი თვის შემდეგ, მე-7 იზოლატორის უფროსის მოადგილე გოგი ამოდის და ჩემთან შეხვედრას მოითხოვს. მას ხელში ჟურნალი უჭირავს და მეუბნება, უნდა გაგახარო. მურავიოვი რომ ზის, იმ საკანში ბიჭები ამ ჟურნალს კითხულობდნენო. მურავიოვმა რომ შეხედა, თქვა, ეს გოგო ვინ არის, ჩვენთან ჰყავდათ სვანეთშიო. ჟურნალში გოგინაშვილზე იყო ინფორაცია, რომ გაიტაცეს და მისი სურათი იყო მოთავსებული, ანუ მურავიოვმა აბსოლუტურად დამოუკიდებლად ყველაფრისა, ამოიცნო იგი. არავის არ შეეძლო ამის მოწყობა. ჩემს კოლეგა მოწინააღმდეგეებს რომ მოეწყოთ, გამორიცხულია. ეს იყო ნაღდი ინფორმაცია. მერე მე ვკითხე, ქართული ხომ არ იცის მურავიოვმა-მეთქი. არა, სურათით თქვა, რომ ეს ჩვენთან (აფრასიძეებთან) ჰყავდათო. მერე უთხრეს, გატაცებული არისო. საკანში სხვა ურთიერთობებია. იქ ვერ ჩაერევი. ამიტომ ვთხოვე, თუ შეგიძლიათ, მურავიოვს გამოუძახეთ, მაგრამ არ დააფრთხოთ, ისე გაესაუბრეთ-მეთქი. გამოუძახეს და მურავიოვმა დაადასტურა, რომ გოგინაშვილის გოგო აფრასიძეებთან ჰყავდათ მოყვანილი. მერე ისიც თქვა, ვინ მიიყვანა.



– ვინ მიიყვანა?

– შავებმა. არიან იქ მონაწილეები.

– რა გვარები არიან?

– ახლა აღარ მახსოვს, 8 წელი ციხეში ვიყავი. ყველაფერი დაწერილია. როცა დადგება მისი დრო, ყველაფერს აღვიდგენ და გავიხსენებ. ვუთხარი, შეადგინე-მეთქი სათანადო საბუთი, ოპერატიული ინფორმაციის თაობაზე. ასეთი ინფორმაცია კაცმა შეიძლება გულით მოგაწოდოს (როგორც მე მომაწოდეს მხეიის მკვლელობაზე) და შეიძლება ოპერატიული ინფორმაცია ტყუილი იყოს. მე ეს არ გამიხმაურებია. თვითონ ვისაც ეშინია და ვინც მონაწილეებია, მათ იფათურეს ამ საქმეში და გააფუჭეს გოგინაშვილის საქმეც და კალაძის საქმეც. შემდეგ იზოლატორის უფროსის მოადგილემ პატაკი დაწერა. იმ პერიოდში ჩემს საგამოძიებო საქმეებს შორის მანცდამაინც პირველი მნიშვნელობის არ იყო გოგინაშვილის საქმე, რადგან კალაძის საქმის გამოძიება მქონდა დავალებული. ამიტომ ეს ინფორმაცია დროებით მიმავიწყდა. როცა მოვა დრო, ამ საქმის გამოძიებამდეც მივალ, რა თქმა უნდა. გავიდა დრო და შემოდის კალაძეების ადვოკატი დგებუაძე და მეუბნება, ბათუ ვასილიევიჩ, გოგინაშვილი დგას ქვევით და ტირისო. ვინ არის გოგინაშვილი-მეთქი? გატაცებული გოგო რომ არის, იმის მამაო. რატომ ტირის-მეთქი? საქმე გაუხსნიათ. იუსტიციის მინისტრთან და პროკურატურაში ყოფილა. დაუძახით და უთქვამთ, საღინაძე გვიშლის ხელს, თორემ შენ საქმეს ვხსნითო. აქ ამოიყვანე-მეთქი. გოგინაშვილს მაშინ პირველად შევხვდი. პოლკოვნიკი კაცი იყო და დაჩაგრულია – ერთადერთი გოგო ჰყავდა. ვკითხე, რა იყო-მეთქი. ბატონო ბათუ, ჩემზე უბედური კაცი არავინაა, თურმე საქმეს ხსნიან და თქვენ უშლით ხელსო. ხელის შეშლა რაში გამოიხატება-მეთქი? რადგან მე მაქვს კალაძის საქმე და ინფორმაცია წამოვიდა ჩემი წრიდან, მათ ეშინიათ. მათი საქმეში ჩარევის თაობაზე რომ გავიგო, იციან, რაც იქნება და თავს იზღვევენ.

– კონკრეტულად, ვინ უთხრა, რომ თქვენ უშლიდით ხელს?

– იუსტიციის მინისტრმა მითხრაო.

– ვინ?

– მაშინ ვინ იყო იუსტიციის მინისტრი, ზუსტად არ ვიცი. ალბათ, ადეიშვილმა უთხრა. პროკურატურაში მან უთხრა, ვისაც ჰქონდა საქმე გამოსაძიებლად წარმოებაში.

– ანუ მურავიოვის მიერ მოწოდებული ინფომაცია გახმოვანდა?

– დიახ. ამიტომ მივეცი დავალება, დაუკავშირდი-მეთქი მთავარ პროკურატურაში და გაიგე, ვის აქვს წარმოებაში გოგინაშვილის საქმე, მოახსენოს თავის ხელმძღვანელობას. ინფორმაცია წამოვიდა ჩვენგან და ის გამომძიებელი ვინც არის, მოვიდეს და მომახსენოს, რა სიტუაციაშია საქმე, თქვენ კი იმუშაავეთ ამ საქმეზე და მოითხოვეთ, ის პატაკი სად არის-მეთქი. მოითხოვეს პატაკი. თითქმის 40 დღე იყო გასული. თურმე ციხეების უფროსი რომ იყო კოპაძე, ის მისულა მათთან. ვითომ საქმე გააკეთა.

– კოპაძეს მინისტრისთვის უთქვამს მურავიოვის მიერ მოწოდებული ინფორმაცია?

– დიახ. ჩემს ზურგს უკან უნდოდათ გაეკეთებინათ საქმე. გააკეთონ, მაგრამ ვერ აკეთებენ. პატაკზე დავაწერე, მოადგილეს, დაადგინეთ, სად იყო ამდენ ხანს ეს საბუთი. ვინ და რა ღონისძიებები გაატარეს ამაზე. ვინც ამ საქმეში ჩაერია, ყველა პროფესიული არაკეთილსინდისიერება გამოიჩინა. არავის არ ჰქონდა ამის უფლება. მე-7 საპყრობილის (ე.წ. კაპეზეს) უფროსის მოადგილემ თავისი უფროსის სახელზე შეადგინა პატაკი. მისმა უფროსმა გადაუგზავნა კოპაძეს.

– ვისთან უნდა გადაეგზავნათ, თქვენთან?

– რა თქმა უნდა. დავავალე, ისევ გაესაუბრეთ-მეთქი მურავიოვს. ვინც საქმის გამოძიებას ხელმძღვანელობდა, ის პროკურორი მოვიდა (თურმე მე კარგად ვიცნობდა). მურავიოვის პიროვნება ჯერ არ იყო შესწავლილი. გვითხრა უკრაინაში ვცხოვრობდიო. სასწრაფოდ უკრაინაში გავაგზავნეთ თხოვნა, მაგრამ მიპასუხეს, მონაცემები არ არისო. ჯერ არ ვიცი, ეს კაცი ვინ არის. ვიფიქრე, სჯობს, არ ავჩქარდე. მაწანწალაა, მაგრამ შეიძლება გენიოსია. შემდეგ მომივიდა ასეთი აზრი, ბარამიძეს ვითხარი, რუსეთის საელჩოში დაურეკე, ჩემი თანამშრომელი მივა წერილით და გამომიგზავნოს გამოცდილი იურისტი და მზვერავი, შეახვედრეთ მურავიოვს, რამდენი ხნითაც უნდა, შეუქმენით პირობები-მეთქი. ვიღაც ულიატოვი გამოუგზავნიათ. რუსია და რუსეთის საელჩოს წარმომადგენელს რომ შეხვდება, სულ სხვა ურთიერთობები მყარდება. მომახსენეს, 5 თუ 6 საათი უსაუბრიათ, მერე მოსულა და ვისაც უნდა დაეკითხა მურავიოვი, იმისთვის უთქვამს, ის არის უსერიოზულესი კაცი, კარგად შეისწავლეთ, მაწანწალა არ არის, რაც გითხრათ, ყველაფერი მართალიაო.

– ანუ რა? მურავიოვი სპეცსამსახურების წარმომადგენელი იყო?

– ჯერ შეეკითხა, რა ინფორმაცია ჰქონდა – ვინ ნახა. მურავიოვმა ისეთი პასუხები გასცა, საელჩოს წარმომადგენელმა თქვა, ის უბრალო კაცი არ არის, კარგად შეისწავლეთო. იმ ფაქტებზე რა ინფორმაციაც მოგცათ, ყველაფერი მართალია, ის ხელწამოსაკრავი კაცი არ არისო. ამის შემდეგ უკვე გავეცი განკარგულება, დაეკითხათ. გამომძიებლებმა მურავიოვი ოფიციალურად დაკითხეს. დეტალებში ჰკითხეს ყველაფერი. გოგინაშვილს მოვატანინე მისი ქალიშვილის სურათები, მურავიოვს ფოტოსურათები ამოცნობის წესით აჩვენეს და ამოიცნო – განაცხადა ეს გოგო იქ ჰყავდათო.

– აფრასიძეების ოჯახში?

– დიახ აფრასიძეების ოჯახში მოიყვანესო. მერე მისცა ჩვენება, ძალიან ლამაზი გოგო იყო, 15 წლის, მაგრამ ყველანაირად დასრულებული გახლდათო. ომეხს მოეწონა. გოგო კიოდა და შემეცოდა. ამიტომ ავტომატი ავიღე, ვიფიქრე, მოვკლავო, მაგრამ შემდეგ მეც მომკლავდნენ და გავჩერდიო. ომეხს ისე ჰყავდა, როგორც მეუღლეო. გოგინაშვილი აფრასიძეებთან 10 დღე ჰყავდათ. შემდეგ სადღაც წაიყვანესო. ყოველ 10 დღეში, 1 კვირაში ომეხი ჯდებოდა მანქანაში (ამზადებინებდნენ საჭმელს დედამისს და სხვა ქალებს, ვინც ჰყავდათ იქო), მიდიოდა გამზადებული პურ-მარილით და ნახევარი დღის, ერთი დღის შემდეგ მოდიოდა ამოსვრილი მანქანით. როგორ ამინდშიც არ უნდა წასულიყო, მანქანა სულ ამოსვრილი იყოო. ამ დეტალებს იმიტომ გვეუბნებოდა, გაგვესაზღვრა, სად არის ასეთი ადგილი.

– მურავიოვის ჩვენება იყო ასეთი?

– დიახ, ეჭვს რომ არ იწვევდა. დავიწყეთ მათი შესწავლა, ვინც მურავიოვმა დაასახელა, ანუ ვინც იქ მიიყვანა გატაცებული გოგინაშვილი. მანქანით მიუყვანიათ.

– ე.ი. კალაძის საქმის პარალელურად, გოგინაშვილის საქმის გამოძიებაც დაიწყეთ?

– დიახ, კალაძის საქმის გამოძიების დროს გავედი ამ საქმეზე.

– დადგინდა, სად ჰყავდა ომეხ აფრასიძეს გოგინაშვილის გოგო?

– მურავიოვის მონაცემებით, წაიყვანეს უშგულში, რომელიღაც სოფელში, ნათესავთან, სადაც ომეხი მიდიოდა-ხოლმე. საქმეში სპეციალურად იქაური ბიჭები ჩავრთე, აბა, გაარკვიეთ, რომელი სოფელია, კარგ ამინდშიც მანქანა რომ ისვრება-მეთქი. ამგვარად, ვიძიებდი ისე, როგორც მაძიებელმა უნდა იძიოს, მაგრამ არ მაცალეს.

– ინფორმაცია ხომ არ გაქვთ მისი შემდგომი ბედის თაობაზე, გოგინაშვილის გოგო ახლა სად არის?

– ციხეში მომაწოდეს ინფორმაცია (რამდენად მართალია, არ ვიცი), რომ ამ გოგოსთან ომეხს შეეძინა ვაჟი და ამ ვაჟთან ერთად ჩრდილო კავკასიაში ვიღაც შორეულ ნათესავებთან ერთად დაბინავეს.

– დღესაც იქ ცხოვრობს?

– ასეთია ინფორმაცია, რომელსაც უნდა მიყოლა და ნდობის მოპოვება ამ ხალხში, რომ გენდონ და გახვიდე კვალზე. ამათ ვინ ენდობა, ვინ არის ისეთი, რომ ენდონ. გირგვლიანისა და რობაქიძის მკვლელობას ვერ იძიებენ, უკვე ნახევარი წელია გასული.

